ქ/ვ 1, ხათისყანი.
76
ა(ა)ოთის შ(ა)ხვილი ო/ი. კ(ა)ი(ა)შ(ვ)ილ(ი)
4

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ახალი სოფელი

№ 4 ყოველთვიური სამეურნეო და პოპულარული მეცნიერული ჟურნალი აპრილი



შინაარსი:

საგაზაფხულო ხვნა-თესვა.
მომავალი შაქრის ქარხანა
აგრ. ი. ქურდიანი
მეცხვარეობის გაუმჯობესებისათვის ეკონ. ა. გძელიშვილი
სად და რომელი ჯიშის ხეხილის გაშენება შეიძლება ჩვენში
სპეც. მ. ქარცივაძე
საკვები ბალახების თესვის შემოღება სპეც. მ. ციმაკურიძე
რისთვის ვაშენებთ ხელოვნურ ტყეს
აგრ. ბრეგვაძე
სად და რომელ ჯიშის ამერიკული ვაზი გამოდგება საძირედ
სპეც. კ. ბერეკაშვილი
ნერგის გამოყვანა მებოსტნეობაში
აგრ. ნ. წიკლაური
რა უნდა ვაკეთოთ საფუთკრეში გაზაფხულის პირზე
სპეც. პ. ლოლაძე
ლუფა და მისი გამოყენება
აგრ. გ. ხუციშვილი
სოია და მისი მოყვანა
აგრ. ერ. ნაკაშიძე
როგორ მოჰყავთ ასურელ გლეხებს ადრეული კარტოფილი
აგრ. ვ. ბიბილაშვილი
გავუფრთხილდეთ ამერიკულ ვაზს
აგრ. ვ. შანიძე
რადიო და მისი მნიშვნელობა

ზაფხული
1928

გამომცემლობა „ახალი სოფელი

ყოველთვიური სასოფლო-სამეურნეო და მეცნიერულ-პოპულიარული ჟურნალი

„ახალი სოფელი"

გამოდის 1928 წლის იანვარიდან აგრონომ **ნ. აღნიაშვილის** საერთო რედაქციით.

ჟურნალს სცემს გაზეთი **„ახალი სოფელი"-ს** რედაქცია.

ჟურნალის მიზანია: მიაწოდოს მშრომელ გლეხობას აგრონომიული ცოდნა, გააცნოს მას ჯანმრთელობის და მეცნიერების საკითხები გასაგებ ენაზე.

ჟურნალში მონაწილეობენ ჩვენი ცნობილი აგრონომები: მეღვინეობაში—**მ. გიგილაშვილი;** მელვინეობაში—**ძ. ბერეკაშვილი;** მესაქონლეობაში—**მ. ციმაკურიძე;** მებაღეობაში—**მ. ძარცვაძე;** მეტყეობაში—**გ. გრიგვაძე;** სუბტროპიკულ კულტურის დარგში—**ერ. ნაკაშიძე;** მემინდვრეობა-მებოსტნეობაში—**ნ. აღნიაშვილი;** ტეხნიკურ მცენარეების კულტურის დარგში—**ი. ძურღიანი;** მეაბრეშუმეობაში—**ვლ. ნიჟარაძე;** მეფუტკრეობაში—**პ. ლოლაძე;** ვეტერინარიაში საქონლის ექიმი—**მ. მირიანაშვილი.**

ჟურნალში ჯანმრთელობის დარგს ხელმძღვანელობს ცნობილი ექიმი **ივ. გომართელი.**

მეცნიერულ-პოპულიარულ განყოფილების ხელმძღვანელად მოწვეული არიან მეცნიერული ძალები და სათანადოთ მომზადებული პირები.

გარდა ჩამოთვლილ პირებისა ჟურნალში მონაწილეობენ **აგრონომები:** თ. მეგრელიშვილი, გ. აბესაძე, ი. ჯაში, კ. ლეჟავა, კრ. ჯაფარიძე (ტფილისი), ნ. ეფრემიძე (სიღნაღი), ნ. ნუცუბიძე (ქუთაისი), პ. ღვალაძე (შორაპანი), ნ. კეჩხუაშვილი (გორი), არ. კობახიძე (სიღნაღი) და ვ. შანიძე (გურია). **სპეციალისტები:** აპ. წულაძე, ქეთო ყანჩაველი და ვ. უნაფქოშვილი.

ჟურნალში თანამშრომლობენ აგრეთვე გამოცდილი სოფლის მეურნეები.
ჟურნალი იბეჭდება ყოველ თვის პირველ რიცხვებში.



ეგრ! შეიძინეთ და იკითხეთ თქვენთვის მეტად
რნალი „ახალი სოფელი".

ელის მოწერის პირობები:

-1 მ. 50 კ., ექვსი თვით—80 კაპ., სამი თვით—40 კაპ.
ნომერი 15 კაპ.

ერა მიიღება ყველა ქოხ-სამკითხველოებში და
ციაში შემდეგი მისამართით:

ვოლოდარსკის ქუჩა № 11. ჟურნალ „ახალი
ქციას.

ბაუმანის მშრომის და გლეხების კავშირს!

ახალი სოფელი

ყოველთვიური სასოფლო-სამეურნეო და პოპულიარულ-მეცნიერული ჟურნალი

№ 4 აპრილი 1928 წ.

საგაზაფხულო ხვნა-თესვა

მიწის არც ერთი ნაჭერი დაუთესავი! — ასეთია ჩვენი ლოზუნგი.

რათაც არ უნდა დაგვიჯდეს, ეს ლოზუნგი უნდა გავატაროთ ცხოვრებაში.

ჩვენი მთავრობა ყოველ მხრივ ხელს უწყობს და ეხმარება მშრომელ მასებს. კერძოთ, მიმდინარე თესვის კამპანიაში ხელისუფლება დიდძალ თახხას ხარჯავს: იძლევა გრძელვადიან სესხს, გაუმჯობესებულ მაქანაიარაღებს და სათეს მასალას.

პირველ რიგში, დახმარება გაეწევა კოლექტიურ მეურხეობებს, შემდეგ—სამახჭანო ამხანაგობებს.

ღარიბი გლეხობა მიიღებს სესხს და სათეს მასალას. ის მიიღებს აგრეთვე ყოველგვარ დახმარებას მიწების მოხვნაში, ტრაქტორის ხელსაყრელ პირობებში გამოყენებაში და სხვა.

ასეთივე დახმარება ეძლევა საშუალო შეძლების გლეხსაც.

ამ კამპანიის ჩატარებას დიდი მნიშვნელობა აქვს. საქმე მარტო იმაში როდია, რომ მიწები მოვხნათ და დავთესოთ. ეს არ კმარა.

ჩვენ უნდა ვიცოდეთ, **როგორ** და **რა** დავთესოთ. მამაპაპური გუთნით და გაძვალტყავებული ხარკამეჩით მუშაობა არც იმდენათ სასარგებლოა.

ამიტომ მშრომელ გლეხობას უნდა შევაგნებიოთ ის უპირატესობა, რომელიც აქვს გაუმჯობესებულ იარაღ-მანქანებს სოფლის მეურნეობაში.

ეს ერთი.

მეორე—**რა უნდა დავთესოთ. მარტო სიმინდისა და პურის თესვა არ კმარა.** საჭიროა ძვირფას მცენარეულობასაც მოვკიდოთ ხელი.

ამიტომაც საჭიროა მშრომელ გლეხობას შევაგნებიოთ ბამბის, ჩაის, თამბაქოს, მანდარინის და სხვა კულტურულ მცენარეთა მოვლა-მოყვანის სარგებლობა და საჭიროება.

ასეთია ჩვენი მეორე ამოცანა.

რასაკვირველია, ყოველივე ეს იმას როდი ნიშნავს, რომ რაკი ტრაქტორი კარგია და ტრაქტორი კი საკმაოდ არ გაგვაჩნია, ხარ-კამეჩით და კვ—გუთანით მუშაობას თავი დავანებოთ, არა. ჩვენ უნდა ვემზადოთ ამისათვის, შევიგნოთ კულტურული წესით მუშაობის საჭიროება.

ამ რიგათ საგაზაფხულო თესვის კამპანია მიზნათ ისახავს ორ გარემოებას: ხვნა-თესვის გაძლიერებას და მშრომელ გლეხობაში აგრონომიულ ცოდნის გავრცელებას.


კიდევ ერთი მთავარი საკითხი, რომელსაც უნდა მიექცეს დიდი ყურადღება. ეს არის **კოლექტივიზაცია.**

კოლექტიური მეურნეობა საუკეთესო ფორმაა გაუმჯობესებულ იარაღ-მანქანების მოხმარება-გამოყენების. სოფლის მეურნეობის წაყვანა სოციალისტური გზით და მისი აღორძინება შეუძლებელია სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის გარეშე.

აი ასეთია მესამე ამოცანა, რომელიც დაკავშირებულია თესვის კამპანიასთან.

მხნეთ, მხურვალეთ და გაორკეცებული ძალ-ღონით შეუდგეთ ხვნა-თესვას.

მიწის არც ერთი ნაჭერი დაუთესავად!



მომავალი შაქრის ქარხანა

ახალი ქარხანა გვემატება.

ამ ორ-სამ წელიწადში შესაძლებელია ჩვენი ქვეყანა ახალი ქარხნით გამდიდრდეს, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ექნება ჩვენი სოფლის მეურნეობისა და მრეწველობისათვის.

მოხდენილმა ცდებმა დაამტკიცეს, რომ საქართველოში შესაძლებელია შაქრის ქარხნის ამუშავება.

რა მდგომარეობაშია ეს საკითხი და რა სარგებლობას მოგვიტანს ქარხანა.

ადამიანისათვის შაქარი საუკეთესო საკვები მასალაა და მისი ხმარება მთელ დედამიწის ზურგზეა მიღებული. ყველაზე მეტს შაქარს ინგლისი ხარჯავს, სადაც სულზე 45 კილოგრამი მოდის, საფრანგეთში—20 კილოგრამი, რუსეთში—12 კილოგრამი. საქართველოში—მხოლოდ 5 კილოგრამი (12 გირვანქამდე), ესე იგი, რვაჯერ ნაკლები, ვიდრე იმ გლისში. ამ მხრივ ადერბეიჯანსაც ჩამოვრჩით, სადაც წელიწადში 10 კილოგრამი იხარჯება.

ას წელიწადზე მეტია შემოღებულია ჭარხლისგან შაქრის დამზადება. უწინ ხალხი შაქარს ლერწამიდან აკეთებდა, ეს ლერწამი მხოლოდ ცხელ ქვეყნებში იზრდება, უმთავრესად ინდოეთში. ლერწმის შაქარი მეტად ძვირი ჯდებოდა, ხალხის უმრავლესობა ვერ ყიდულობდა; მასიურად მხოლოდ მაშინ გავრცელდა, **როდესაც ხმარებაში იაფ-ფასიანი ჭარხლის შაქარი შემოვიდა.**

პირველი შაქრის ქარხანა, რომელიც მასალად ჭარხალს ხმარობდა, 1799 წელში გაიხსნა გერმანეთში. ომის წინ 1912 წელს გერმანიაში 346 შაქრის ქარხანა მუშაობდა, რუსეთში 279 და საფრანგეთში 232.

რა გზა კირია საჭირო ჭარხლის კულტურისათვის.

შაქრის ჭარხლის ძირი რომ დამწიფდეს, საჭიროა 165 უყინვო დღე და საკმარისათ დიდი სითბო (2400 გრადუსი). თბილი მზიანი დღეები, უწვიმო შემოდგომა ხელს უწყობს ჭარხალს მოიმარაგოს თავის ფესვში შაქარი, ამ მხრივ საქართველო უფრო კარგ პირობებშია, ვიდრე შაქრის საშობლო უკრაინა.

აქ მნიშვნელობა აქვს აგრეთვე წვიმის ნალექებს. ჩვენში საუკეთესო პირობები მოიპოვება გორის მაზრაში, წარსულ წელს მოწყობილი იყო სხვა და სხვა ალაგას ცდები გლეხების მიწებზე, შემდეგ ჭარხალი გამოიკვლიეს და გამოირკვა, რომ ჩვენი ჭაობის შაქრიანობა, უფრო მეტი ყოფილა, ვიდრე რუსეთის ჭარხლისა. ასი ფუთი შაქრის ჭარხალი რუსეთში და უკრაინაში იძლევა 11—12 ფუთ შაქარს, ჩვენი ჭარხალი კი —ოც ფუთს. ეს გასაგებიცაა, რადგან ჩვენში უფრო მეტი მზეა და მზის შუქსაც დიდი ძალა აქვს. რაც შეეხება ნიადაგებს, მართალია, ჩვენი ნიადაგები უკრაინის შავ მიწებს ბევრად ჩამორჩებიან, მაგრამ სამაგიეროდ კარგი დამუშავებით ამ ნაკლის

შესწორებაც და კარგ მოსავლის მიღებაც შეიძლება. ასეა საქმე გერმანეთში და პოლონეთშიაც.

შაქრის ჭარხლის მოყვანა მოგებიანი საქმეა.

გომის რაიონში, სადაც განზრახულია შაქრის ქარხნის გახსნა, სთესვენ მხოლოდ ხორბალს, ქერს და სიმინდს. ეს პურეულობა ისე მცირე მოსავალს იძლევა, რომ ხარჯებს ვერ ასწორებს.

ჭარხლის მოსავალი დამყარებულია მიწის დამუშავებაზე. ცდებით ძიღებული გვაქვს 1200—1400 ფუთი ჭარხალი ჰექტარზე*). გლეხების მიწები კი მისცემენ საშუალოდ 900 ფუთ. ჭარხლის ფასი რუსეთში ფუთი 22—24 კაპ. ჩვენში ფუთი 22 კაპეიკი რომ ვიანგარიშოთ, ჰექტარზე შეადგენს (22×900)=198 მან.

ამავე დროს ხარჯები ნაკლებია, თვითონ გლეხს ფუთი დაუჯდება 15—16 კაპ. ეს შეადგენს (16×900)=144 მან. **რჩება 54 მან. მოგება,**

სიმინდი კი იძლევა ჰექტარზე 60—70 მან. ხორბალი ცოტა მეტს, და ხარჯებს ვერ ჰფარავს. ამიტომ სასურველია პურის და ქერის გარდა ჭარხალიც დაითესოს.

რამდენი მიწა სჭირდება ქარხანას ჭარხლის დასათესად.

საშუალო შაქრის ქარხანა დღეღამეში ამუშავებს 36 ათასს ფუთ ჭარხალს, ქარხანა ძუშაობს 100 დღეს. ეს შეადგენს მთელ სეზონში სამ მილიონ-ექვსას-ათას ფუთს.

რამდენი ჰექტარი უნდა დაითესოს ამდენ ჭარხლის მისაღებად?

ჰექტარზე ათასი ფუთი ჭარხალი რომ ვიანგარიშოთ, დაგვჭირდება 3600 ჰექტარი, ნამდვილად კი—ცოტა მეტი, რადგან გლეხების მიწები ჰექტარზე მხოლოდ 800—900 ფუთს მოსავალს მოგვცემენ, ესე იგი, დაახლოვებით 4000— 4500 ჰექტარი. ჭარხალი დაითესება გლეხების მიწებზე, მაგრამ თვით ქარხანასაც დასჭირდება მიწები თავის ნათესებისათვის, ერთ მეოთხედს ქარხანა თვითონ დასთესავს. უკვე გამოყოფილია საფონდო მიწებისაგან ხელისუფლების ძიერ 1 500 ჰექტარი ქარხნისთვის; დანარჩენს 1.000 ჰექტარიც ამ მოკლე ხანში გამოიყოფა. ჭარხლისთვის საუკეთესო მიწებია დიდოფლის ძინდროზე, გომის ჭალაში და სხვა.

ქარხნის აშენება განზრახულია შემდეგი წლისათვის, გომის რაიონში აგარას ახლო (გორის მაზრა).

რა სარგებლობას მოგვცემს ქარხანა.

1. ქარხანა მოგვცემს ნახევარ მილიონ ფუთ შაქარს ყოველ წლივ.

2. ქარხანაში აუარებელი მუშა ხელი იქნება ჩაბმული:

ზაფხულში ჭარხლის მოვლა-მოყვანაში და ზამთარში ჭარხლის გადამუშავებაში.

3. ჭარხლის კულტურა ხელს შეუწყობს მემინდვრეობის (პურეულობის) აყვავებასაც, რამდენადაც მიწების დამუშავება გაუჯობესდება.

4. შაქრის ქარხანა დიდ შემოსავალს მისცემს რკინის გზას და სახელმწიფოს აქციზის სახით.

5. შაქრის ქარხანა იძლევა ძვირფას ნარჩომებს:

ა) ტკბილს (პატოკას) და თხლე-ჭაჭას (ჟომო), რომლებიც საუკეთესო საკვებია საქონლისათვის.

ბ) ქარხნის ლაფს, რომელსაც ვიღებთ ჭარხლის დამუშავების შედეგად. ეს ლაფი დაუბრუნდება ისევ ნიადაგს სასუქად.

შაქრის ქარხანა დაჯდება 4 მილიონი მანეთი. ეს ფული უკვე გადადებული აქვს საკავშირო შაქრის ტრესტს საქმის დასაწყობად.

მომდინარე წელს ცდები კვლავ გაგრძელდება გორის მაზრაში გაძოცდილი აგრონომის ხელმძღვანელობით.

ი. ქურდიანი.

*) 2200 ოთხკუთხი საჟენი.

სოფლის მეურნეობა

მეცხვარეობის გაუმჯობესებისათვის.

მეცხვარეობის გაუმჯობესების საქმე ჩვენი სოფლის მეურნეობაში დიდ მნიშვნელოვანი საკითხია და ამ მიმართულებით სახალხო მამულების ტრესტში დიდი მუშაობა სწარმოებს.

ჩვენი მეცხვარეობა დიდ გაჭირვებას განიცდის და გადაგვარების გზაზეა დამდგარი. ცხვრის მოვლა-მოშენება თხოულობს ჩვენი მეურნეობისაგან დიდ ხარჯებს და შრომას, ხოლო შემოსავალს დაწინაურებულ ქვეყნებთან შედარებით, ნაკლებს იძლევა, და ვერ აკმაყოფილებს ჩვენს მეურნეს, ამისათვის საჭიროა ჩვენი მეცხვარეობის ძირითადი გარდაქმნა, რომ ის ჩვენი სოფლის მეურნეობისათვის ხელსაყრელი გახდეს.

საქართველოში ამ ჟამად არა ნაკლებ ერთი მილიონ შვიდასამდე სული ცხვარი ითვლება, რომელიც დაახლოვებით ორას - ორმოცდა-ათი-ათას ფუთ მატყლს, ას - ორმოცდა - ათი ათას ფუთ ყველს და ორას-ათი-ათას ფუთ ხორცს გვაძლევს.


მიუხედავათ ყოველივე ამისა მეცხვარეობის დარგს საქართველოში შვიდიათასი მეტი მოსახლე ეწევა და იგინი აცხოვრებენ, ასაზრდოებენ არა ნაკლებ ორმოც ათას სულ მობინადრეს.

გარდა ამისა სამოცი ათასზე მეტი მეკომური ზამთრობით ჩართულია მატყლის დამუშავების საქმეში. ქსოვენ, ქეჩვენ ნაბდებს, ქუდებს და სხვა ნაბდეულობის ნაწარმოებს.

მთელი შემოსავალი საქართველოს მეცხვარეობის და შინამრეწველობის ნაწარმოებისა შეადგენს არა ნაკლებ ათ მილიონ მანეთს. ერთის შეხედვით თითქოს მეცხვარეობის საქმე ჩვენში კარგათ იყოს დაყენებული, მაგრამ ეს ასე ათ არის.

ჩვენს ცხვარს მეტი შემოსავლის მოტანა შეუძლია.

ჩვენს მეცხვარეობას უფრო მეტი შემოსავლის და სარგებლობის მოტანა შეეძლო, ვიდრე მას მოაქვს, თუ ცხვარს საკვები მასალა კარგი და ბლომად ექნებოდა.



მერინოსი—საუკეთესო მატყლის ცხვრის ჯიში.

მაგრამ, სამწუხაროთ, ჩვენი საძოვრები ველარ აძლევენ ცხვარს საჭირო საკვებს. ისინი თითქმის გაჭედილია საქონლით, ამის გამო საძოვრები იმ მდგომარეობამდე მივიდნენ, რომ მათ ერთ დესეტინაზე 4—5 სული ცხვარის გამოკვება ძლივსლა შეუძლიანთ, ნაცვლად 10—12 სულისა, რომელიც ხორმათ ითვლება.

გამოკვლეულია, რომ საკვების გაუმჯობესება ჩინებულად მოქმედობს ცხვარზე, არამცთუ მატყლობს ის წონაში, არამედ მატყლის თვისებაც უკეთესდება.

კარგ საძოვარზე შვეიცარიაში 10—12 სულ ცხვრისათვის სრულიად საკმარისია, მთელი ზაფხულის განმავლობაში გამოსაკვებად, 1 ჰექტარი საძოვარი. ხოლო უვარგის საძოვარზე ორ ნახევარი ჰექტარი. უნაყოფო

საძოვრებს იქ ნელ-ნელა სრულ ნაყოფიერათ ხდიან, სთესენ ბალახს, ხრიოკ ადგილებს სწმენდენ ქვებისაგან, რწყავენ და ასე ანაყოფიერებენ საძოვრებს. თანაც საძოვრების ნაკვეთის საუკეთესოდ გამოყენებისათვის მეურნესაც აჯილდოებენ.

საძოვრებს საქართველოში დიდი არე, ზომით დაახლოვებით, **შვიდას ორმოცი ათასი** ჰექტარი*) უჭირავს: საზაფხულო საძოვრებს—ხუთას ათი ათასი ჰექტარი და საზამთროს—ორას ოცდა ათი ათასი ჰექტარი.

ამ უზარ-მაზარ მეურნეობას თავისუფლად შეეძლო უკეთეს პირობებში ერთი-ორათ მეტი ცხვარის გამოკვება, მაგრამ სამწუხაროთ ამ უკანასკნელ ხანებში შეინიშნულია, რომ ზოგიერთი საძოვრები სრულიად დატკეპნილია ზედმეტი საქონლისაგან და წლითი-წლობით იფიტება.

ამისათვის საჭიროა ზოგიერთ შემთხვევაში რამდენიმე სეზონს ასეთი საძოვრები სრულიად დაიკეტოს და განიტვირთოს საქონლისაგან, რომ საძოვრებმა დაისვენოს და გაბალახდეს. საჭიროა ხანგრძლივი და დაუღალავი მუშაობა ამ მხრივ.

როგორც ზემოთ ვთქვით, საქართველოში მატყლის რაოდენობა **ორას ორმოცდა ათი ათას** ფუთს წელიწადში არ აღემატება. ცხადია, რომ მატყლის ასეთი სიმცირე არ არის დასაკმაყოფილებელი და მას სხვა ზომებთან ერთად ესაჭიროება სერიოზული ცდები ჩვენი ცხვრის მატყლიანობის გაუმჯობესებისათვის, არა მარტო რაოდენობის, არამედ თვისების მხრივაც.

ჩვენი ცხვარი იძლევა შერეულ მატყლს. შერეული მატყლის ერთი კვანძიდან გამოდის 37 პროცენტი მეორე ხარისხის მატყლი, 63 პროცენტი კი პირველი ხარისხისა, ასეთ შერეულ მატყლს ბაზარი არ აფასებს და იგი ჩვენს მატყლს მხოლოდ მეორე ხარისხათ იძენს. ხოლო პირველი ხარისხისა სრულიად უმნიშვნელო რჩება.

მრეწველობა უკეთეს მატყლს მოითხოვს.

თანამედროვე საფეიქრო მრეწველობა ამ გვარ შერეულ მატყლს ერიდება, რადგან მის გადარჩევაში, საგრძნობ ზედმეტ ხარჯებს ეწევა, ამის გარდა აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელ ხანებში იგი აყენებს სხვათა შორის მოთხოვნილებას წმინდა ბეწვის მატყლზე მაუდის ქსოვილებისათვის, რის გამო ჩვენი ცხვარი თავისი ტლანქი და უთანასწორო მატყლით, რასაკვირველია, საფეიქრო მრეწველობის აწინდელ მოთხოვნილებას ვერ დააკმაყოფილებს.

ამისათვის საჭიროა ჩვენი მეცხვარეობის მეურნეობისათვის ისეთი ჯიშის ცხვარის გამონახვა, რომელიც ჩვენს პირობებში ჩვენი ცხვრის დადებითი თვისებებთან ერთად მოგვცემს საუკეთესო ნაწარმოებს და ბევრს მატყლს და მით საფეიქრო მრეწველობის მოთხოვნილებას დავაკმაყოფილებთ.

ჩვენი მეცხვარეობის საძირკვლად ცნობილია **თუშური ცხვარი**. იგი წარმოადგენს ცხვრის საუკეთესო ტიპს, რომელიც საუკეთესოთ შეგუებულია ჩვენს პირობებს. დიდი გამძლეობა, დიდი მანძილის გავლა, საკვების საუკეთესოდ გამოყენება კარგი ხორციანობა, მშვენიერი რძიანობა — აი დადებითი თვისებანი, ჩვენი თუშური ცხვრისა.

მაგრამ ამ საჭირო თვისებებთან ერთად მას დიდი ნაკლიც აქვს. ეს არის მისი ცუდ-მატყლიანობა, როგორც თვისებით, ისე რაოდენობით.

თუ ჩვენს ცხვარს მატყლიც საუკეთესო ექნება, მაშინ ის იქნება სწორედ ის ცხვარი, რომელიც ესაჭიროება ჩვენს მეცხვარეობას.

ამ ჟამად სახალხო მამულების ტრესტი ამ მიმართულებით დიდ მუშაობას აწარმოებს.

ეკონომისტი ა. გძელიშვილი.

*) ჰექტარი უდრის 2200 კვადრატიულ მეტრს.



ᲡᲐᲓ ᲓᲐ ᲠᲝᲓᲔᲚ ᲯᲘᲨᲘᲡ ᲮᲔᲮᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲨᲔᲜᲔᲑᲐ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲩᲕᲔᲜᲨᲘ*)

I. ᲙᲐᲮᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲚᲝᲣᲜᲝ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ

კახეთის საბაღოსნო რაიონი, რომელიც უმთავრესად ძველადაც ხეხილის ცენტრად ითვლება, არა ნაკლებ მხიშვნელოვანია ძებაღეობისათვისაც. საბაღოსნო კულტურა ამ რაიონისა უმთავრესად ალაზ ის ველზე და მდინარე ალაზნის ჭარცხენა შენაკადების ხეობებშია განვითარებული. ალაზნის ნაპირები დაუსახლებელია და ამიტომ ძებაღეობის კულტურა სანაპირო ზოლების გარედ არის დარჩენილი. მეხილეობის კულტურას შეხვდებით აგრეთვე ერწო-თიანეთის უბახში (ტფილისის მაზრა), რომელიც მოთავსებულია მდინარე იორის და ძისი მარჯვენა შენაკადის აძეძის ხეობაში.

ალაზნის მარჯვენა ნაპირი წარმოადგენს საუკეთესო პირობებს მეხილეობისათვის. მას აქ დიდი მომავალი ელის შემოდგომის ხილის მოყვანის მხრივ. ალაზნის მარჯვენა მხარეზე გაცილებით ძალიან ღირსების ხილი ხოდის, ვიდრე მარცხენაზე, სადაც ხილი უშაქრო და წყლიანი გამოდის და ადრე ლპება.

1. ᲐᲚᲐᲖᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲚᲛᲐ ᲛᲘᲓᲐᲛᲝᲧᲔᲑᲘ

(მარჯვენა ნაპირი)

ვაშლი: **კანდილ ხინაპი** (ქარისაგან დაფარულ ადგილებში), **დანციგის კალვილი** ანუ **გვერდიანი. შამპანიური რენეტი ანუ ბროდსკი** (ძალიან ნაკლებად ესივა ბურტყლიანი ტილი), **კანადის რენეტი, ორლეანის რენეტი,** წითელი საზამთრო **კალვილი,** ოქროსფერი საზამთრო **პარმენი ანუ ზოლიანი შაფრანი,** კალვილი წითელი, შემოდგომისა და თურაშაული.

მსხალი: სერჟერმენი, **კიურე** ანუ პასტორისა, **არდანაპონი** ანუ ფერდინანდი, **საზამთრო დეკანკა.**

ატამი: საადრეო **ალექსანდრე, ბარონ დიუფური. გავაზის ყვითელი ზაფრანი,** ნარინჯი.

ქლიავი: **ოტური, რენკლოდი იის ფერი, ოტური მწვანე,** კონსერვებისათვის.

ლეღვი: **თეთრი ადგილობრივი** (ხელად საჭმელი) მწვანე ადგილობრივი (საჩირე) ყვითელი ადგილობრივი (ხილად, მეორე ხარისხისა)

ბროწეული: კირმიზ-კაბუხ.

2. ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗ ᲓᲐ ᲨᲣᲐᲒᲣᲚ ᲙᲐᲮᲔᲗᲘᲡ ᲐᲚᲐᲖᲜᲘᲡ ᲒᲐᲚᲛᲐ ᲛᲘᲓᲐᲛᲝᲧᲔᲑᲘ

კახეთის აქ მიდამოებისათვის ხეხილის იგივე ჯიშებია გაძოსადეგი, როგორიც ალაზნის მარჯვენა ნაპირის მიდამოებისათვის.

3. ᲚᲐᲒᲝᲓᲔᲮᲘᲡ ᲫᲕᲔᲚ-ᲠᲐᲘᲝᲜᲘ

(ალაზნის მარცხენა ნაპირის მიდამოების საეხრეთი ნაწილი)

ვაშლი: **რენეტი** კანადისა, კულონისა ყვითელი, შამპანიური, **პიპინ-პარკერ, კალვილი** თეთრი და

*) გაგრძელება იხ. ფურც. ხილ. № 3.

წითელი, საზამთრო, **კანდილ სინაპი, სარი სინაპი, ბელფლორი ყვითელი.**

მსხალი: **დიუშესი** საზამთრო ანუ საგვიანო ტულუზა, სენ-ჟერმენი, ბერე-ბოსკი, **არდანაპონ, პასს კოლმარ, პასს-კრასან, კატილიაკი, ნარ-არმუდი, ვანდამის, საზაფხულო გულაბი,** ადგილობრივად კურკულა.

ქლიავი: **ალიბუხარი** (საჩირე)

თხილი: **გოზ-ფუნდუკ.**

4. ბარე-კახეთი

(სოფ. მანავი, ოთხლიაური, საგარეჯო და სხვა).

ვაშლი: **რენეტი** კანადური და შამპანიური, **ყვითელი ბელფლორი,** წითელი **კალვილი,** საზამთრო; **კანდილ სინაპი,** ოქროსფერი პარმენი, საზამთრო; საზაფხულო ჯიშებიდან—**ასტრახანული წითელი და თეთრი.**

მსხალი: **ბერე-ბოსკი, კიურე, ტყის მშვენიერება.**

ქლიავი: **ანნა შპეტ, მწვანე ოტური** (რენკლოდი)

ბალი: საკონსერვო ჯიში—**ყვითელი დენისენისა.**

ნუშს გაზაფხულის სიცივეები სწვავს, ატამი კი ცუდად ხარობს. ჭერამი სრულებით არ ისხამს.

II. ტფილის—ბორჩალოს მებაღეობის რაიონი

ტფილის—ბორჩალოს რაიონებში ხეხილის ბაღები მდებარეობენ მდინარე მტკვრის, იორის, ალგეთის და ხრამის ხეობებში. მტკვრის მარცხენა ნაწილში ბაღები უმთავრესად სამხრეთით გვხვდება. ეს ბაღები ირწყვის მდინარე მტკვრის მარცხენა შენაკადებით, გარდა ზემო-ავჭალისა და ალექსანდერსდორფის ახალშენის ბაღებისა, რომლებიც სარწყავ წყალს მდინარე მტკვრიდან ღებულობენ.

მტკვარის ბარჯვენა ნაპირის ბაღები უმთავრესად თრიალეთის ძთების სამხრეთით გვხვდება, დიღომის წყლის და ვერის ხეობაში და ეგრედ წოდებულ ორთაჭალის კუნძულზე. იორის ხეობაში, რომელიც წარმოადგენს უკანა ხარის უბნის (სიღნაღის მაზრა) გაგრძელებას, ბაღები მდებარეობენ ცივი ქედის სამხრეთ-დასავლეთით და ირწყვებიან ძდინარე იორით და ძისი შენაკადებით.

ალგეთის ბაღები გვხვდება ალგეთის ნაპირებზე და ზოგ მის მარცხენა შენაკადების ხეობებში. მდინარე ხრამის ხეობაში ბაღები მოთავსებულია ძდინარე მაშაველის, ბოლნის-ჩაის და ბორჩალო-ჩაის ხეობებში.

1. ტფილისის განაპირა რაიონი

პირველი ადგილი უჭირავთ კურკოვან ჯიშებს.

ბალი: (ალუბალზე) **ქართული ჭრელი** ანუ **ახალციხური, ნაპალეონი,** ყვითელი **დენისენისა, ყვითელი დროგანისა, მაისის შავი,** საადრეო, **შავი ყირიმული** ანუ **თათრული, შავი მსხვილი.**

ალუბალი: (მაღულების ალუბალზე) **კოროლევა გორტენზია,** ადრეული.

შპანკა: ოსტგეიმის, მონმორანსი, ინგლისური საადრეო, **ვლადიმიროვკა.**

ჭერამი: (ჭერამზევე) ვენგრული ანუ ესპარენის ადრე ძოსავალა, **კაისი** ანუ **კაიშა ატმისებური** ნანსიდან, **მსხვილი** ადრე მოსავალა ანუ **ალექსანდრე, შირაზის, ალყანაბადი.**

ატამი: **ელბერტისა, ამსდენი, თეთრი მინიონი,** საადრეო, **ვატერლო,** ბაღების მეფე, **ორთაჭალის თეთრი,** საგვიანო, **ვაშლატამი ვიჭტორია,** საგვიანო (საძირედ-ატამი და ტყეიალი)

ქლიავი: **კოლუმბი, მწვანე ოტური რენკლოდი, ალტანის ოტური,** ატძისებური **ვენგერკა იტალიური, მონფორი, ანნა შპეტ,**

აჟანისა, ვაშინგტონი (საძირედ ტყემალი).

კომში: მიჩა მოსავლიანი, სპარსული, კონსტანტინოპოლის, ნავთლუღის მსხვილი ნაყოფიანი.

ნუში: (ნუშზე) პრინცესა, თურქესტანური, თხელტყავიანი.

ზღმარტლი: სამეფო და ბუმბერაზი.

ლელვი: დალმაციის, ბარცელონის, საადრეო, ნეაპოლიტანური.

ბროწეული: კიზი-აბუხ.

თუთა: კონსტანტინოპოლის, განჯის, ხარ-თუთა.

ვაშლი: ოქროს ფერი, საზამთრო, დიდი რენეტი კასელსკის, ვირგინიის ვარდის ფერი.

მსხალი: ბერე-ბოსკი, ბერე-დილ, ჟიფარდ, სენჟერმენი, პასსკრასან, ბერგამოტი ესპერენისა, ფორელი, გულაბი თავრიზული.

მოცხარი: მსხვილი წითელი ნაიტისა, ალუბალისებური, წითელი, ნეაპოლიტანური შავი.

2. ყარაიას ძვე-რაიონი

ეს არის კურკოვან ჯიშების რაიონი.

ვაშლი: რენეტი, შამპანიური, კანადის, დასბურგის, ფრანგული ნაცრის ფერი და სემირენკოსი, კალვილი ლეზანისა.

მსხალი: (კომშზე) მარგარიტა მარილია, ბერე-დილ, დიუშესი ანგულემის, ბრინჯაო ფერი.

ჭერამი: (ჭერამზე) ბურბონის, საადრეო, დიდი უნგრეთური. საადრეო, დიდი ყვითელი, შირაქის, ატმისებური ნანსის, კაიშა, და ალჯანაბადი.

ბალი: (ბალზე და ძაღალების ალუბალზე) ყვითელი დენისენისა, ბროლის თეთრი.

ალუბალი: (ბალზე და მაღალების ალუბალზე) ოსტგეიმის, შპანკა ვლადიმირის.

ქლიავი: მწვანე ოტური (რენკოლდი) ალტანისა, იაპონური ქლიავი —ბოტანი ანუ მოსავლიანი, ვიკსონი.

ნუში: პრინცესა, სუდანის ტყუპები. მსხვილ ნაყოფიანი მარწყვი— კეთილშობილი ლაქსტანისა, ლიუციდა პერფექტისა, სენსაციონი, და მჯობნი.

3. სანდარის ვაკე ძვე-რაიონი

(ს. ლამბალო, ჯანდარი და ბორჩალოს მაზრის სხვა მოსაზღვრე ადგილები).

ვაშლი (დუსენზე და პარადისკაზე): რენეტი, შამპანიური და კანადის, თეთრი რაზმარინი.

მსხალი (კომშზე): ბერე-არდანოპონი.

ჭერამი (ჭერამზე): დიდება პურტალესი, მსხვილი ადრე მოსავალა ანუ ალექსანდრე, ატმისებური, შაქრის მტრედი.

ატამი: ამსდენი, ელბერტისა, ვილერმოზი.

ატამი: ყვითელი დენისენისა, ყვითელი, დროგანისა.

4. სადახლოს ვაკე ძვე-რაიონი

ვაშლი: რენეტები შამპანიური, ორლეანის და კანადისა, კალვილი წითელი, საზამთრო, კანდილ სინაპი.

მსხალი: ბერე-ბოსკე, დიუშესი ანგულემის.

ბალი: ყვითელი დენისენისა და დროგანისა.

ქლიავი: ოქროს ფერი ოტური (რენკოლდი).

5. გომბორის მთაგორიანი ძვე-რაიონი

ვაშლი: კანადის რენეტი, პარმენი საზამთრო ოქროს ფერი, ყვითელი ბელფლორი.

მსხალი: ბერე-ბოსკი, პასს-კრასანი, დიუშეს ანგულემის.

ქლიავი: ანნა შპეტ, მწვანე ოტური (რენკოლდი), ოტური ალტანისა.

მოცხარი: ნეაპოლიტანური შავი, წითელი ალუბლისებური.

6. ᲙᲝᲯᲝᲠᲘᲡ ᲫᲕᲔ-ᲠᲐᲘᲝᲜᲘ

(საშუალო ზოლი)

ვაშლი: ოქროსფერი **პარმენი**, საზამთრო, **კალვილი** წითელი შემოდგომისა.

ბალი: **ყვითელი დენისენისა** და **დროგანისა**, ყირიმული **შავი** ანუ თათრული, **ნებიერის გული, ნაპოლეონი.**

მოცხარი: **ნეაპოლიტანური შავი, წითელი ალუბლისებური, თეთრი ალუბლისებური.**

მსხვილი ნაყოფიანი მარწყვი:—**შარალესი, კეთილშობილი ლაქსტონისა.**

7. ᲗᲔᲗᲠᲘ ᲬᲧᲐᲠᲝᲡ ᲫᲕᲔ-ᲠᲐᲘᲝᲜᲘ

(საშუალო ზოლი)

ვაშლი: **რენეტი** შამპანიური და კანადის, ყვითელი **ბელფლორი, ახტარახანული თეთრი.**

მსხალი: **ვილიამსი** ანუ ანგულემის დიუშესი.

ბალი: **ყვითელი დროგანისა, ყვითელი დენისენისა, ნაპოლეონი.**

ქლიავი, **იტალიანური ვენგერკა,** მწვანე ოტური (რენკოლდი), ოტური (რენკოლდი) ალტანისა.

მოცხარი: ჟოლი და მსხვილ ნაყოფიანი მარწყვი კარგად ხარობს.

8. ᲛᲐᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲫᲕᲔ-ᲠᲐᲘᲝᲜᲘ

(საშუალო ზოლი)

ვაშლი: **კანადის რენეტი, ყვითელი ბელფლორი,** წითელი **კალვილი** საზამთრო.

კარგად ხარობს მოცხარი, ჟოლი და მსხვილ ნაყოფიანი მარწყვი.

მ. ქარცივაძე.

ᲡᲐᲙᲕᲔᲑᲘ ᲑᲐᲚᲐᲮᲘᲡ ᲗᲔᲡᲕᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲢᲚᲔᲑᲐ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲡ ᲬᲘᲜ ᲬᲐᲡᲬᲔᲕᲡ

დასავლეთ საქართველოში ერთსა და იმავე ადგილზე გამუდმებით სთესავენ სიმინდს. ნიადაგის დასვენება შეუძლებელია მიწის სიმცირის გამო.

საყანე ადგილების განოყიერებაც (მონაკვლა) არ ხერხდება საქონლის უყოლობისა და ნაკელის უქონლობის მიზეზით.

ამიტომ ნიადაგი თანდათან იფიტება და ღარიბდება. ასეთ გაღარიბებულ ნიადაგში სარეველა მცენარეები, განსაკუთრებით კალამი (შალაფა) და გლერტა ადვილად ვრცელდება. თანაც გამოფიტული ნიადაგი ადვილად შრება, მაგრდება და ძნელი დასამუშავებელი ხდება.

ასეთ ნიადაგის დამუშავება, სიმინდისთვის თესვა, მარგვლა, თოხნა და მოწევა ბევრ შრომას მოითხოვს და ბოლოს ხშირად ისეთ მცირე მოსავალს იძლევა, რომ პატრონს გაწეულ შრომის მესამედსაც ძლივს უნაზღაურებს.

სიმინდის ნაკლებობას ოჯახში უქათმობა, უღორობა და უხორცობა მოსდევს. გლეხს აკლია სიმინდი და ხორცეული, რის გამო მისი ოჯახი თითქმის დამშეული და დაბეჩავებულია. თუ ღორს და ფრინველს ზრდის, ისიც საბაზროთ, რომ აღებული ფულით შეიმოსოს.

ამ რიგად გლეხის კეთილდღეობა უმეტესად მიწის სინოყიერისგანაა დამოკიდებული.

ამიტომ სოფლის მეურნეობისა და გლეხის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მუშაობის დროს მთავარი ყურადღება ნიადაგის სინოყიერის აღდგენას უნდა ექცეოდეს.

გამოფიტული საყანე მიწების სინოყიერის აღსადგენად არსებობს ადვილი და ყველასთვის ხელმისაწვდომი საშუალება. **ეს არის საყანე მიწების ნაწილზე საქონლის საკვები ბალახების თესვის შემოღება.**

დასავლეთ საქართველოში საშუა-

ლოდ კომლზე ხუთი ქცევა მიწა მოდის. აქედან ყოველმა მოსახლემ უნდა გამოყოს ერთი ქცევა მიწა და დათესოს ზედ საქონლის საკვები ბალახები: იონჯა, ესპარცეტი, სამყურა, უგრეხელი, სოია და სხვა.

ყოველ კუთხეს განსაკუთრებული თვისებები აქვს და იქ ან ერთი ან მეორე საკვები ბალახი ხეირობს. საჭირო დროს ბალახის თესლისა და მისი მოვლის შესახებ გლეხი სათანადო ცნობებს მიიღებს მაზრის ან რაიონის აგრონომისაგან.

ჩამოთვლილი ბალახები კარგად ვარგობს მოღლილ ნიადაგებზე. მოღლილ—დაღარიბებულ მიწებზე ბალახი უფრო მეტ სარგებლობას იძლევა, ვინემ სიმინდი. მუშაობა კი ბალახის თესვას და მოყვანას გაცილებით ნაკლები სჭირდება, ვიდრე სიმინდის მოყვანას.

ამას გარდა ზემოდ ჩამოთვლილ ბალახებს ერთი საკვირველი თვისება აქვთ. ის მიწები, რომლებზედაც ხსენებული ბალახები ითესება, ისე ნოყიერდება ერთი ან ორი წლის განმავლობაში, ვითომც იქ ნეხვი შეგვეტანოს, მოგვენაკელოს.

ამ რიგად მოღლილ-გამოფიტულ მიწაზე ბალახის თესვის შეძოლებით ჩვენ გვაქვს შემდეგი სარგებლობა:

1. ვანოყიერებთ ნაყანევს ისე, ვითომც მასში ნეხვი შეგვეტანოს.

2. ვღებულობთ მეტ შემოსავალს, ვინემ სიმინდის თესვით და

3. ვეწევით ნაკლებ შრომას, ვინემ ეს სიმინდის მოყვანას სჭირდება.


გარდა ამისა ამ ერთი ქცევა ნათესი ბალახის შემწეობით და სხვა ნაკვეთებზე მოყვანილი ჩალით შეიძლება ყოველმა პატარა ოჯახმა იყოლიოს ერთი ადგილობრივი კარგი ძროხა, რომელიც გარდა რძისა და ყველისა დასტოვებს ოჯახში განსაზღვრულ რაოდენობის ნაკელს. ნაკელსაც ნაყანევში გაზიდავს და მის ნოყიერებას აამაღლებს.

ყოველ ორი წლის შემდეგ ბალახის სათესად გამოიყოფა ახალი ნაკვეთი.

იონჯა უფრო ხანგრძლივ რჩება ერთსა და იმავე ნაკვეთზე.

ძველი ნასათიბარი კი იხვნება სიმინდისთვის, რადგან ის უკვე დასვენებული და განოყიერებულია.

ამ რიგად ნათესი ბალახი თან და



თან ინაცვლის ადგილს და გადადის ყოველი ორი წლის შემდეგ ერთი ნაკვეთიდან მეორეზე, ისე რომ ათი წლის განმავლობაში უვლის მთელ სახნავ-სათეს ხუთ ქცევა მიწას და აუმჯობესებს ნიადაგს.

ნიადაგის განოყიერებას ხელს უწყობს კიდევ, როგორც ზემოდ ვთქვით, საქონლის რიცხვის გადიდებით მიღებული ნაკელი.

ამავე დროს კარგი იქნება ერთ პატარა ნაკვეთ მიწაზე (მესამედ ან ნახევარ ქცევაზე) ყოველ ოჯახში ითესებოდეს საქონლის ჯარხალი, თალგამი ან კარტოფილი.

საკვები ბალახების და ძირნაყოფა მცენარეთა თესვა ამავე წესით უნდა

სწაოძოეადეა აღოსავლეთ საქართველოში.

ნიადაგის ნოყიერების აღსადგენად და მიწის ღალიანობის გასადიდებლად ამ გზით წარმოებული მუშაობა საუკეთესო შედეგს იძლევა:

სახნავი მიწების ნოყიერება უჯგროებესდება, ყანების მუშაობა ადვილდება; ოსავალი მატულობს, ოჯახში ჩნდება თივა და ბალახი; ამას თან მოსდევს მეტი საქონლის ყოლა, სასუქის სიმრავლე და მთლიანად გლეხის ბიუჯეტის (შემოსავალ-გასავლის) გადიდება.

მ. ციმაკურიძე

რისთვის ვაშენებთ ხელოვნურად ტყეს

ჩვენში ჯერ კიდევ არ არის ღრმა შეკ ება, რომ საჭიროა ტყის ხელოვნური გაშენება. ბევრს კიდევ ჰგონია, რომ ტყე ბუნებრივად საკმაოდ იზრდება და საჭირო არ არის, რომ ადამიანმაც მის გაშენებაზე იზრუნოს.

მაგრამ თუ ჩვენი ტყეების წარსულს და აწმყო მდგომარეობას ჩაუეკარებოდა. ეს ხეები უტყუარი საბუთია იმის, რომ იმ ადგილებში ძველად ულრანი ტყე ყოფილა, მაგრამ ხალხს მოუჭრია, გაუნადგურებია და მარტო ხატ-საყდრის ირგვლივ დაუტოვებია.

სოფლებში ბევრგანაა აგრეთვე დარჩენილი ძველის-ძველი მუხის, თელის, წაბლის და ზოგი სხვა ხის ჯი-



ხელოვნურად გაშენებული ტყე.

კვირდებით ნათლად დავინახავთ, რომ მომავალში ჩვენი არსებობისათვის ტყის ხელოვნურ გაშენებაზე ზრუნვა აუცილებელია.

საქართველოს მთელი მიწა-წყალი ძველად თითქმის სულ ტყით ყოფილა დაფარული. ამის დასამტკიცებელი საბუთები ამჟამადაც ბევრია. თითქმის ყოველ სოფელში ძველი ეკლესიის გალავანი და „სახატე“ ადგილები სავსე იყო უზარ-მაზარი გადაბერებული ასწლოვანი ხეებით, რომელსაც ხალხი მოსაჭრელათ არ შის შენობები, რომლებიც რამდენიმე თაობას შესწრებიან და სიტყვიერი გადმოცემაც კი აღარ არის, თუ ვის ან როდის აუშენებია. ეს მრავალსაუკუნიანი სახლები ხშირათ ისეთი მსხვილი ხის მასალისაგანაა აგებული, რომ მისი შორიდან მოტანა ძნელი იქნებოდა. ეჭვს გარეშეა, რომ ამ სახლების საშენი მასალა მუხა, წაბლი, თელა და სხვა იქვე ადგილობრივ იჭრებოდა.

ამასთანავე სოფლებში დარჩენილია უზარ-მაზარი ცაცხვის, წიფლის,

ნეკერჩხლის და სხვა ხის ჯიშის საწნახელი, კოდი, კასრი, წასქვილის ღარი, ვარცლი, ჰაჭის საქაჩავი ტაფა-კვირისტავი, მთლიანი ხის მაგიდა, წყაროს როფი, ხიდი, გობი, თეფში, თაბახი და სხვა ამგვარი ხის ნივთ–ავეჯი, რომლის მსგავს მასალას ახლა ტყეში ველარ ვხედავთ. განა ეს ძველი სახლები და ზემოდ ჩამოთვლილი საგნები აშკარად არ გვეუბნებიან, რომ ჩვენი ქვეყანა ულრანი ტყეებით ყოფილა დაფარული?!

ბევრი ის ადგილი, სადაც ახლა ტყის ნასახიც აღარ არის, ტყით რომ ყოფილა დაფარული, ამას აუარებელი სოფლის და ადგილის სახელწოდებაც ადასტურებს. ჩვენში ბევრ სოფელს და ადგილს მუხის, წაბლის, წიფლის, ცაცხვის, ვაშლის, პანტის, შინდის, ტყემლის, თხილის, კაკლის და სხვა ტყის ხეების სახელები ჰქვია სხვა და სხვა გამოთქმით, მაგალითად: მუხრანი, მუხნარი, მუხურა, მუხათი, მუხიანი, მუხათ-გვერდი, წიფლოვანი, წიფლა-ვაკე, დიდ-წიფელა, წაბლარის-ხევი, წაბლარი, ვაშლოვანი, პანტიანი, სხალ-ტბა, თხილოვანი, ტყემლოვანი, შინდისი, კაკლიანი, თელეთი, თელოვანი, თელავი და სხვა...

ცხადზედ-უცხადესია, რომ ადგილს მუხის, თელის, წაბლის, წიფლის, შინდის და სხვა ხის სახელები არ დაერქმეოდა, თუ იქ ძველად ამ ჯიშების ტყე არ ყოფილიყო.

ძველად საქართველოში ყოფილი სოფელი და თვით ქალაქიც ტყის შუა ყოფილა გაშენებული. უტყეო ადგილას სოფელი არც დაესახლებოდა ახლად. ძველად ხალხი ტყეში წყაროს-მდინარეების ნაპირებზე ესახლებოდა, ტყეს ართმევდა სამოსახლო და სახნავ-სათეს ადგილებს, ტყის ანკარა წყალს სვამდა, ტყის თაფლით, ნაყოფით, სოკოთი, ნადირ-ფრინველით და თევზით საზრდოს იჩენდა.

ორასი წლის წინათ დაწერილ გეოგრაფიაში ვახუშტი მოგვითხრობს, რომ მთელი იმერეთი ანუ დასავლეთ საქართველო მაღალის მთიდან დანახული ერთიან ტყეს წარმოადგენდა და სოფელ-ქალაქის შენობები და სახნავ-სათესი ველ-ადგილები მცირედ-მცირედი იშვიათად თუ სადმე მოსჩანდა. ტყის გამო ქარი ძნელად იძვროდა და დაგუბებული სიცხე იდგა. ვახუშტისავე აღწერით აღმოსავლეთი საქართველო დასავლეთ საქართველოსავით ძლიერ ტყიანი არ ყოფილა, მაგრამ ტყე აქაც გაცილებით ბევრი ყოფილა, ვიდრე ეხლაა.

ამავე გეოგრაფის თქმით გაბნულ დაბურულ ტყეების გამო გარეული ნადირ-ფრინველი, ტყის ნაყოფ-ხილი, სოკო, თაფლი და წყარო—მდინარეები ყველგან ბლომად იყო; მდინარეებში დიდძალი თევზი ბუდობდა, ახლად გატეხილ ტყის მიწაში უხვი მოსავალი ძოდიოდა. იმერეთში ერთ ტყეში მოსახლე წალდ-თოხის მჭონე მუშა კაცს მთელი ჯალაბის სარჩო-საბადებელი მოჰყავდა და ბეგარასაც იხდიდა.

უხვი ტყე თავის მძლავრი ფესვებით ამაგრებდა და იფარავდა ფერდობებს ჩამორეცხვისაგან და ღელე-ხევ-ძდინარის ნაპირებს დაქცევა-დანგრევისაგან.

დაბურული ტყე ზღუდეთ ედგა ბაღ-ვენახებს და ნათესებს და ქარს არ უშვებდა მათ ფოთოლ-ყვავილის და ნაყოფის მოწვა - გასატიალებლად.

კაცისაგან დაუზიანებელი ტყე თვით ახლდებოდა, შენდებოდა და უფრო და უფრო ძლიერდებოდა.

მაგრამ მას შემდეგ რაც ადამიანმა ტყე დაუზოგავად გაკაფა, გადაწვა, ახოთ აიღო და საქონლის საძოვრად აქცია, ტყემ თავის ძლიერება და თვისება დაჰკარგა. გამეჩხერდა, გაქარაფდა, დაიჯაგა, გაბელატდა, ველტყეთ იქცა და მრავალგან სულაც მოისპო, შეშა-ფიჩხს და საავეჯო-საშენ მასალას სამყოფს ველარ გვაძლევს; აღმოსავლეთ საქართველოში ბევრგან ტყის მოსპობის გამო

ადგილები გაუდაბნოვდა, წყაროები და პატარა-პატარა ღელე-მდინარეები დაშრა-დაკნინდა. მთავარ მდინარეებში ხომ მთელ საქართველოში წყალმა დაიკლო და თევზი გადაშენების დაადგა.

უტყეობის გამო გამძვინვარებული გვალვა-სიცხის და თავ-შეუკავებელი ჭარ-ხიავლვარის წყალობით ძოსავლის მოყვანა თითქ'ის შეუძლებელი შეიქნა ჭირნახული იშრიტება და იწვება.

დროა გონს მოვიდეთ, გაუფრთხილდეთ ტყეებს, ხელი შეუწყოთ მათ ბუნებრივ განახლება-აღმოცენას, უტყეო ადგილებზე კი. სადაც ამას საჭიროება თხოულობს, ტყის ხელოვნურ გაშენებას მეჯოთად შეუდგეთ.

ამჟამად საქართველოს სახნავ-სათესი მიწების თითქმის მესამედზე მეტი სრულიად უვარგისია სოფლის მეურნეობისათვის. ბევრი ადგილი, რომელიც ახლო წარსულში უხვ მოსავალს იძლეოდა, ახლა გამოფიტულია, მწირი, ხროკი უდაბნოა და მეწყერ-ნამზვლევ-ნაქცევებით და ღელე-ხევ-ხუვებითაა დაფარული. ეს მეწყერ-ხევები სულ უფრო და უფრო ფართოვდება, თავ-ახსნილი ქარი და წყალი ტყის წინააღმდეგობას აღარ ხვდება, თანდათან ძლიერდება, რეცხავს და ხვეტავს ფერდობებს, აქცევს ხევ-მდინარეების ნაპირებს, იტაცებს სილას და ნიადაგს, მიაქანებს ზღვაში, რიყავს და ლეკავს ნაყოფიერ ადგილებს, ფარავს ბაღ-ბოსტანს და ადამიანთა სახლ-კარს, ახრჩობს შინაურ ცხოველებს და ხანდახან ადამიანსაც.

ასე მწარედ ისჯება ბუნებისაგან ტყის განადგურებისათვის ადამიანი. ცხადია, თუ გვინდა ბუნებისაგან დატეხილ ამ სასტიკ სასჯელს გადაურჩეთ, უნდა ეხლავე შედგეთ ტყის ხელოვნურად გაშენებას.

უდაბნო მეწყერ-ხევიან ადგილზე ტყის გაშენება ბევრნაირათაა სასარგებლო. პირველ ყოვლისა ტყე დაიცავს ადგილს შემდეგი ჩამორეცხვისა და დანგრევისაგან. იქ სადაც ხეტყის დიდი გაჭირებაა, ჩვენ შეგვიძლია ისეთი ჯიშები გავაშენოთ, რომელიც შეშა-ფიჩხათ, სარ-წნელად და ავეჯისათვის გამოგვადგება და შორს ყიდვა-მოტანა აღარ დაგვჭირდება.


ზოგ ადგილებში ისეთი ხის ჯიში შეგვიძლია გავაშენოთ, რომლის ფოთოლი ან ნაყოფი ძლიერ სასარგებლოა და ბაზარზე დიდი მოთხოვნილება აქვს, მაგალითად: კაკალი, წაბლი, თხილი, თუთა, თრიმლი, თუთუბო და სხვა.

ტყის გაშენება იმითაცაა სასარგებლო, რომ ის ყოველწლიურად გაცვივნულ ფოთოლ-ტოტებით მიწას ანოყიერებს.

ტყის ხელოვნურად გაშენება უდაბნო ადგილის ჰავას და წყალს გააუმჯობესებს, ადამიანის ჯანმრთელობას გააუკეთესებს, ქარსა და გვალვა-სიცხეს შეანელებს, ქვეყანას დაამშვენებს და უფრო მიმზიდველს გახდის.

ამიერიდან, ვისაც ჩვენი აწმყო და მომავალი კეთილდღეობა აინტერესებს, ტყის დაცვა-გაშენება და ეზოგზის პირებზე ხეების დარგვა საერთო საზრუნავ საქმედ უნდა გახდეს როგორც სახელმწიფოსათვის, ისე ყოველ სახელმწიფო დაწესებულების და ყოველ შეგნებულ ადამიანისათვის. სკოლა, საავადმყოფო, კოოპერატივი, კერძო მოსახლის ეზო, სასოფლო და სახელმწიფო გზები, თემაღმასკომების შენობები და სხვა ასეთები ბაღ-ხეივნებით უნდა იყოს დამშვენებული.

მეტყევე გერ. **ბრეგვაძე.**



სად და რომელი ჯიშის ამერიკული ვაზი გამოდგება საძირედ

ჩვენმა მევენახეებმა ახლა უკვე იციან, რომ ყველანაირ ნიადაგზე ერთი ჯიშის ამერიკული ვაზი არ გამოდგება: სხვადასხვა ნიადაგს სხვადასხვა ჯიშის ამერიკული ვაზი ეგუება.

ნიადაგი ბევრნაირია: ნოყიერი, მწირი, ქვიანი, მაგარი, თიხნარი, ქვიშნარი, კირნარი, ცარცოვანი, მშრალი, სველი, მხურვალე, ცივი და სხვა. ამერიკული ვაზი უნდა შეირჩეს ნიადაგის მიხედვით.

ყველა ჯიშის ვაზი ერთნაირ ნიადაგზე როდი ვარგობს; ზოგს უყვარს ნოყიერი, ღრმა შრია ნიადაგი, ზოგი უფრო ვარგობს მწირ, მაგარ და ქვიან ნიადაგზე, ზოგი იტანს კირნარ და ცარცოვან ნიადაგს, ზოგი კირნარ და ცარცოვან ნიადაგებში ყვითლდება, ავადდება და სხვა.



ამერიკული ვაზის შერეული ჯიში (გიბრიდი) რიპარია რუპესტრის 3309.

ასე რომ ამერიკული ვაზისათვის ნიადაგის შერჩევა უფრო ძნელია, ვიდრე ჩვენებური (ევროპიული) ჯიშის ვაზისათვის.

ახლა მეცნიერების და მცოდნე პირების მეოხებით უკვე გამოკვლეულია, რომელი ჯიშის ამერიკული ვაზი, რომელ ნიადაგს უფრო ეგუება.

მოკლეთ ავღნიშნავთ, როგორ ნიადაგს რომელი ჯიშის ამერიკული ვაზი შეეფერება: **ნოყიერ, ღრმა და დაშლილ ნიადაგს: რიპარია.**

ძლიერ კირნარ ნიადაგებს: ბერლანდიერი, ბერლანდიერი×რიპარია № 157-11, № 33, 420, შასლა×ბერლანდიერი № 41-B, მურვედრ×რუპესტრის № 1202

საშუალო კირნარ ნიადაგებს: რიპარია×რუპესტრის № 3309, № 101-14, მურვედრ×რუპესტრის № 1202

ნესტიან და მარილიან ნიადაგებს: სოლონის, სოლონის×რიპარია № 1616

მშრალ ნიადაგებს: რუპესტრის დიულო, რიპარია×რუპესტრის № 3309

მძიმე ნიადაგებს: რიპარია×რუპესტრის № 3306 და 101-14 მურვედრ×რუპესტრის № 1202 და რუპესტრის დიულო.

ეს არის, ასე ვსთქვათ, თვალის გადავლებით ნიადაგების და შესაფერისი ამერიკული ვაზის საძირეების აღნიშვნა, მაგრამ საძირის შერჩევას კიდევ მეტი დაკვირვება ესაჭიროება. ჩვენში ბოლო წლებში უფრო მეტათ ვრცელდება საძირეთ **რუპესტრის დიულო, ბერლანდიერი № 2** და იბრიდები: **რიპარია×რუპესტრის №№ 3309, 3306, ბერლანდიერი×რიპარია № 420, შასლა ბერლანდიერი № 41-ბ.**

ყველა აღნიშნული საძირეები საუ-

კეთესო არიან, თუ შესაფერის ნიადაგზე მოხვდენ.

ბოლო დროს, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა **ბერლანდიერს და მის იბრიდებს**; ბერლანდიერი გარდა ნესტიან და გრილი ალაგების, ყველა ნიადაგებზე საუკეთესოთ ვარგობს და ნამყენი მაღალი ხარისხის თავ ღვინოს იძლევა. ამისათვის თავი ღვი-



ამერიკული ვაზის შერეული ჯიში (გიბრიდი) შასლა × ბერლანდიერი 41-ბ.

ნოების ალაგებში უმჯობესია ვიხმაროთ საძირეთ ბერლანდიერი და მისი იბრიდები.


მწირ, მაგარ ქვიან და მშრალ ალაგებში, სადაც არ გამოდის თავი ღვინო, რუპესტრის დიულო ძლიერ ხელსაყრელი საძირეა: მსხმოიარება და ზრდა ნამყენს კარგი ექნება.


გაკვრით დავასახელებთ ზოგ რაიონებს, სადაც ბერლანდიერი და მისი იბრიდები განსაკუთრებულ ყურადღების ღირსი არიან. კახეთში—**იყალთოს, წინანდალის, გურჯაანის, კარდანახის, ნაფარეულის,** და **ყვარელის რაიონებში**, როგორც განთქმული ღვინოების ალაგებში უმეტესათ საძირეთ ბერლანდიერი და მისი იბრიდები უნდა ვიხმაროთ.

იგივე საძირეები უნდა გავრცელდეს უფრო მეტათ იმერეთში, სადაც სახელოვანი ღვინოები დგება სოფლებ **სვირის, ბაღდათის, კვალთის, არგვეთის, თერჯოლის, ვაჭევის რაიონებში.**

რუპესტრის—დიულოს მეტი ყურადღება უნდა მიექცეს. ეს სასახელო საძირე თითქოს ნაკლები ყურადღების ღირსი შეიქნა ბოლო წლებში, მაგრამ ეს არ არის სწორი შეხედულობა. მწირ, მაგარ, ქვიან და მშრალ მხურვალე ალაგებში რუპესტრის დიულო ძლიერ კარგ საძირეთ ითვლება, ნამეტურ მსხმოიაროზით. სადაც თავი ღვინოები არ გამოდის და მწირ ალაგებია, იქ რუპესტრის დიულო უნდა ვიხმართ საძირეთ. მით მეტი ყურადღების ღირსია ეს საძირე, რომ მწირ მიწების გასანაყიერებლად ჩვენ მრავალ სოფლებში სასუქი არ მოგვეპოება. აღნიშნული საძირე კი მწირ ძიწებზე კარგათ ვარგობს. მწირ მიწები კი ბევრია ზოგ ქართლის, იმერეთის (ოკრიბის) და გურიის სოფლებში. მხოლოდ რუპესტრის უნდა ვარიდოთ დაბალსა და ნესტიან ალაგებს.

სპეც. კ. **ბერეკაშვილი.**






ნერგის გამოკვანა მებოსტნეობაში.

მებოსტნეობა სარგებლიანი დარგია.

ჩვენში მებოსტნეობა თანდათან მეტ ყურადღებას იქცევს. ეს მით აიხსნება, რომ მებოსტნეობის ნაწარმოებს კარგი გასავალი აქვს და კარგ შემოსავალს იძლევა. ამიტომ არის, რომ მებოსტნეობას ხელი მიჰყვეს არამც თუ დიდ ბაზრებთან დაახლოებულმა სოფლებმა, არამედ ამ ბაზრებს დაშორებულ ადგილებმაც, თუ კი ბუნებრივი პირობები ამ დარგს ხელს უწყობს.



კედლის ძირას გამართული შუშაბანდიანი სანერგე.

ტფილისის ბაზარზე დიდი წილი ადრეულ ბოსტანის ნაწარმოებისა ქუთაისის და სამტრედიის ბოსტნებიდან მოდის.

ადრეული ბოსტნეული დიდ შემოსავალს იძლევა.

დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა დროს გამოდის ბოსტნეული ბაზარზე. ზამთარში და ადრე გაზაფხულზე ბოსტნეული გაცილებით მეტი ღირს, ვიდრე ზაფხულში, როცა ის ყველას თავზე საყრელად აქვს.

ყველა მებოსტნე-მეურნე უნდა ცდილობდეს, რაც შეიძლება ადრე იქონიოს ახალგაზრდა ბოსტნეული. ეს მიზანი მას შეუძლია სათბურების გამართვით მიაღწიოს.

არის ზოგიერთი ბოსტნეული, რომელიც ჩვენი ქვეყნის ზოგიერთ პირობებში არამც თუ ვერ ასწრობს ადრე დამწიფებას, არამედ შეიძლება კიდევაც სრულებითაც არ დამწიფდეს, როცა მათ პირდაპირ მუდმივ ადგილზე სთესავენ. კომბოსტოს, პამიდორს, ბადრიჯანს და წიწაკას ჩვენში მცოდნე მებოსტნე არასოდეს პირდაპირ ადგილზე არ დათესავს.

ეს მცენარეები თბილი ქვეყნის მცენარეებია და სინორჩის დროს ისეთი სათუთი და ნაზია, რომ ადრე გაზაფხულის სიცივეებისაგან ძალიან ადვილად ზარალდებიან. დაცდაც დიდხანს, ვიდრე სითბო დადგებოდეს, მებოსტნესთვის ხელსაყრელი არ არის. ამ შემთხვევაში ბოსტნეული მაშინ შემოვა, როცა ბაზარი ისედაც სავსეა ბოსტნეულით და ძლიერ იაფად უვასობს.

საჩითილეს გამართვა.

ამისათვისაა შემოღებული ამ ბოსტნეულობის ჯერ ნერგად ან ჩითილად წინასწარ გამოყვანა და შემდეგ ახალგაზრდა ნერგის ადგილზე გადარგვა.

ჩითილის ანუ ნერგის გამოყვანა შეიძლება ცალკე კვალში ანუ ყუთში,


რომელშიაც ჩაყრით ჩვეულებრივ სასუქიან მიწას.

ყუთი არ უნდა იყოს მაღალი.

რადგან ყველა თესლს თავგი ძლიერ ემტერება, ამიტომ უმჯობესია საჩითილე ყუთი ფეხებზე შედგათ, როგორც ნაჩვენებია სურათზე.

საჩითილე ყუთი იქნება თუ ცალკე კვალი, სჯობია, რომ სამხრეთის ძხარეს, სადმე კიდლის ძირას, მყუდროდ ადგილას გამართოთ.

საჩითილე კვალი დიდი არ ვარგა, საკმარისია სიგანე მისცეთ 73—108



კედლის ძირას მიწის პირის ზეით და მიწის პირად გამართული სანერგე.

სანტიმეტრი (არშინი ან არშინ-ნახევარი), რომ ძუშაობა-მარგვლა და ნათესის შეთხილება—არ გაგიძნელდეთ.

საჩითილე კვალს ზემოდან უძირო და უთავსახურავო ყუთი უნდა გადაადგათ, როგორც ნაჩვენებია სურათზე.

ზოგი ყუთის ნაცვლად უძირო დაბალგვერდიან ქალთს სწნავს, იმავე მოყვანილობისას, როგორც სურათ პირველზე ნაჩვენები ყუთია.

ხორჩი ნერგი რომ გაზაფხულის სიცივემ არ წაახდინოს, ღამ-ღამობით და ცივ დარში საჩითილე ყუთი და კვალი ჭილობით უნდა წაიხუროს. პირიქით კარგ მზიან დღეში საჩითილე კვალი და ყუთი ახდილი უნდა გქონდეთ, რომ ჰაერმა კარგად გაუაროს.

საჩითილეში ყოველწლიე ახალ-ახალი მიწა უნდა ჩაყაროთ, რომ იქ რაიმე სენმა არ დაიბუდოს.

სათბურის გამართვა.

თუ ჩითილის გამოყვანა ძალიან ადრე გინდათ, მაშინ შეგიძლიათ თბილი საჩითილე გაიკეთოთ. ამისათვის ჯერ ამოთხრით მყუდრო ადგილას ოთხკუთხ 32—40 სანტიმეტრის (8—10 ვერშოკი) სიღრმის ორმოს, ჩაყრით შიგ ჯერ ახალ ნეხვს (ცხენის სჯობია), მერე ზედ გადაადგამთ ჩარჩოს ანუ ყუთს, კიდევ ჩაყრით ცოტაოდენ ნეხვს და დააფარებთ თივას ან ჩალას.

2—3 დღის შემდეგ გაშინჯეთ და თუ სასუქი ჩახურებულია, მაშინ 8 სანტიმეტრზე (2 ვერშოკი) უნდა დააყაროთ კიდევ გადამწვარი სასუქი და შემდეგ 12 სანტიმეტრზე (3 ვერშოკზე) ფხვიერი კარგი მიწა. შემდეგ გადააფარეთ ისევ საფარი და ორი დღის შემდეგ დათესეთ.

საფარი სჯობია ჩალისა, რომელსაც ყველა ბაღჩითი მეურნე ყოველთვის შესძლებს გააკეთოს.

ასეთ საჩითილეებში მეურნეს ადრე გაზაფხულზე ექნება არამც თუ თავისთვის საკმაო გადასარგავი ნერგი, არამედ შესძლებს თავის მეზობელსაც მიაწოდოს. 108 სანტიმეტრის (არშინ-ნახევარი) სიგანის და 144 სანტიმეტრის (ორი არშინის) სიგრძის საჩითილე კვალი იტევს დაახლოებით 800 ცალ მცენარეს.

მარტში დათესილი ბოსტნეული მაისშივე უკვე მზად გექნებათ გადასარგავათ.

თესვა და ნათესის მოვლა.


თუ თესლი წვრილია, სჯობია წმინდა ქვიშაში გაურიოთ და ისე დათესოთ. თესვა სჯობია მწკრივად, უფრო ადვილია მოსაცელელად დათესვის შემდეგ ნათესი უსათუოდ უნდა დატკეპნოთ სატკეპნელით (ფიცრით) და მორწყათ. ნათესი არ უნდა გაშრეს.

როცა ნათესი აღმოცენდება და ცოტა მოიზრდება, უნდა შეათხელოთ, რომ ნერგი გათამამდეს და გაიაგრ-

დეს. არც ეხლა უნდა მოაკლოთ ძორწყვა.

თუ საჩითილე (სანერგე) მაღლა გაქვთ მოწყობილი, ის ყოველ დღე უნდა მორწყოთ, რადგან ძიწა აქ მალე შრება. სანერგეს არც მარგვლა უნდა მოაკლოთ.

ზოგი მებოსტნე ადგილზე გადარგვამდე, სანერგეშივე გადარგავს ნერგს



ბოძებზე დადგმული უბრალო სანერგე (საჩითილე).

ერთხელ მაინც. გადარგვისაგან ნერგი უფრო გამძლე გამოდის.

კარგ ნერგს 4 ნაძვილი ფოთოლი მაინც უნდა ჰქონდეს. ნერგი უნდა იყოს საღი, მწვანედ უნდა გამოიყურებოდეს და კოჭობები არ უნდა ჰქონდეს.

ნერგის ამოღება და გადარგვა.

ნერგის გადარგვა საღამოთი სჯობია, სიცხეში ნერგი ადვილად სჭკნება.

როცა ნერგის ამოღებას და გადარგვას აპირებთ, საჩითილე წინა დღით ან რაოდენიძე საათით აღრე ძაინც უნდა მორწყათ, რომ ნერგი (ჩითილი) ადვილად აძოძვრეს ძიწიდან. ნერგი არასოდეს ფოთლით არ უნდა ამოსწიოთ. ნერგის ამოღება და დარგვა ჩხირით (პალოთი) სჯობია.

ნერგი ერთბაშად ბევრი არ უნდა ამოიღოთ. ამოიღეთ იმდენი, რამდენის გადარგვასაც მოასწრობთ. ამოღებული ნერგი ჩრდილში უნდა გქონდეთ შენახული დარგვამდე, რომ არ დაჭკნეს. თუ ვერ მოასწარით ამოღებულ ნერგის დარგვა, შეინახეთ თხლად ჩრდილში წახურული და ორჯერ-სამჯერ მორწყეთ დღეში.

ნერგს რამდენად მეტი ძიწა აძოჰყვება, მით უკეთესია. დარგვის წინ ნერგს მთავარი ფესვი უნდა წააწყვიტოთ, სიგრძის ერთი-მესამედი მაინც. ფესვის წვერ წაწყვეტილი ნერგი უკედ ინვითარებს გვერდის ფესვებს და ღონიერი მცენარე იზრდება.

დარგვის დროს ეცადეთ ნერგის ფესვები სწორედ გააწყოთ. ნერგი არც ღრმად და არც ზერელედ უნდა იჯდეს მიწაში, საკმარისია ჩაუშვათ პირველ ფოთლებამდე.

როცა დარგვას გაათავებთ, ნერგს მიწა უნდა შემოუტკეპნოთ ხელით ირგვლივ. დარგვის შემდეგ მცენარე უნდა მორწყათ. წყლის დასხმა გვერდიდან სჯობია.

აგრ. **ნ. წიკლაური.**

რა უნდა ვაკეთოთ საფუტკრეში გაზაფხულზე

ახლოვდება გაზაფხული, ფუტკარი ზამთრის დასვენების შემდეგ უკვე იღვიძებს, მიუხედავათ იმისა, რომ ბუნება ჯერ-ჯეროვნობით თოვლით დაფარულია.

დედა-ფუტკარი უკვე იწყებს კვერცხის დებას, ხოლო მუშა ფუტკარი ახალი შთამომავლობის კვებას.

ფუტკართან ერთად მეფუტკრეც უნდა შეუდგეს მზადებას.

რა უნდა გაკეთდეს და რაზე უნდა იყოს მიქცეული ყურადღება თებერვლის და მარტის განმავლობაში.

ფუტკარი ზამთარშიაც იკვებება, მხოლოდ ძალიან ნაკლებად, გაზაფხულზე კი, ესე იგი, როცა კვერცხის დება და ფუტკარის გამრავლება დაიწყება, მაშინ კი საკვები საგრძნობლად იხარჯება.


ოჯახი, რომელსაც ნაკლები მარაგი აქვს, ან სიმშილისაგან დაიღუპება ან და მოლონიერებას ვერ მოასწრებს და ასე თუ ისე მეფუტკრე იზარალებს.

ამიტომ მეფუტკრე მოვალეა გამოარკვიოს, რომელ ოჯახს აკლია მარა-

გი და დაუყოვნებლივ დაეხმაროს საკვების მიცემით.

მარაგის ნაკლებობა შეიძლება გამოირკვეს ოჯახის ხილვით ან სკის აწევით, თუ სკა სხვასთან შედარებით სუმბუქია, მეფუტკრემ უნდა იცოდეს, რომ ოჯახს საკვები ნაკლებად ჰქონია.

საკვებათ შეიძლება მივცეთ თაფლი ან შაქარი. სანამ უამინდობა მეფუტკრეს უშლის ოჯახის განხილვას, საჭიროა ყოველ დამშეულ ოჯახს 5—7 გირვანქა საკვები მისცეს. როცა კი ხილვა შესაძლებელი გახდება, ესე იგი მარტის შუა რიცხვამდე, რამდენიმე სუსტი ოჯახი, მათ გასაძლიერებლად, უნდა შეაერთოთ და დააკმაყოფილოთ მარაგით იმ ანგარიშით, რომ თითეულ ოჯახს 10—20 გირვანქა თაფლი ჰქონდეს.



ფიჭის სიტკბოთი გავსება ჩაიდნითაც შეიძლება.

სუსტი ოჯახების შეერთება აუცილებლად საჭიროა, რადგან მხოლოდ ღონიერი და კარგათ მოვლილი ოჯახი იძლევა შემოსავალს, სუსტის ყოლა კი ტყუილია, რადგან სანამ ის გაძლიერდება, ღალიანობაც დამთავრდება და ვერც შემოსავალს მისცემს, ვერც შეაგროვებს თავისათვის მარაგს.

სუსტი ოჯახების შეერთება

შესაერთებელი სკები საფუტკრეში დააახლოვებული უნდა იყოს ერთ არშინის მანძილზე და მისი საფრენები მიმართული ერთსა და იმავე მხარეს და დაყენებული თანაბარ სიმაღლეზე.

კაი ამინდის დროს მუშა ფუტკრის გამომლერის შემდეგ (ორი-სამი დღის განმავლობაში), ორი შესაერთებელი სკიდან ერთი უნდა დაუახლოვოთ მეორეს ნახევარ არშინის მანძილზე. მეორე კი, რომელსაც უერთებთ, გადადგათ თავის ადგილიდან.

ორივე ოჯახის საფრენიდან შებოლების შემდეგ, როცა ფუტკარი ორსამ წუთის განმავლობაში დამშვიდდება, იმ სკიდან, რომელთანაც შეერთებული იქნება მეორე სკის ფუტკარი, უნდა ამოვიღოთ ცარიელი ზედმეტი ჩარჩოები და იმათ ადგილას მოთავსდეს მეორე სკის (თავის ადგილიდან გადადგმულის) ფუტკრით დაფარული ჩარჩოები. ამის შემდეგ დაცლილი სკა უნდა მოაშოროთ საფუტკრეს.

შეერთების დროს დიდი მნიშვნელობა აქვს დედების ამორჩევას და თუ მეფუტკრემ იცის მათი ღირსება, უნდა ამოირჩიოს უკეთესი, დააპატიმროს სადედე გალიაში (ტიტოვის, ჟიროსი და სხვა), სკაში, შუა ბუდეში, მოათავსოს, უვარგისი დედა კი მოისპოს. დაპატიმრებული დედა ერთი დღის შემდეგ უნდა გაანთავისუფლოთ.

თუ მეფუტკრე დედების ღირსებას ვერ არჩევს, მაშინ მან თვით ფუტკარს უნდა მიანდოს მათი ამორჩევა. ჩვეულებრივად შეერთებულ სკაში მხოლოდ ერთი, უფრო მარჯვე დედა ფუტკარი დარჩება.

საკვების მიცემა

ყველაზე ადვილი და კარგია კვება სარაჯი თაფლით, რომელიც ამოღებული უნდა იყოს სხვა თაფლით მდიდარ და საღ ოჯახებიდან. თაფლი

უნდა მოათავსოთ ფუტკრის გუნდის მეზობლად.

თუ მეფუტკრეს თავის საფუტკრეში სათადარიგო თაფლი არ ექნება და მოისურვებს სხვის საფუტკრიდან შეძენას, უნდა ფრთხილად იყოს, რომ იქ საფუტკრეში დაავადებული ოჯახები არ ჰყავდეს.

მეფუტკრეობისათვის უკეთესია, რომ დამშეული ოჯახი დაიღუპოს სიმშილისაგან, ვიდრე საკვებით გადატანილ სიმყაყისაგან, რადგანაც ეს სენი მერე უსათუოდ მთელ საფუტკრეში გავრცელდება და ძალიან დააზიანებს მას.

სარაჩი თაფლი რამოდენიმე საათით თბილ ოთახში უნდა დასტოვოთ და როცა გათბება, მერე მისცეთ დამშეულ ოჯახს.

თუ მეფუტკრეს საჭირო თაფლი არ ექნება, უკეთესია შაქრით კვება.

აიღეთ ორი წილი წმინდა შაქარი და ერთი წილი სუფთა წყალი. წამოადულეთ წმინდა ჭურჭელში ნელნელა, დუღილის დროს სითხეს ურიეთ და როცა შაქარი გაიხსნება, რამოდენიმე წუთის შემდეგ სითხე მზად არის.

საკვების მიცემა შეიძლება ცარიელ მშრალ ფიჭაში სითხის ჩასხმით, ან დაბალი ქილებით, რომლებშიაც ორი ჩაის ჭიქა უნდა ჩადიოდეს. კარგად გამორეცხილ ქილებში ჩაუშვით თბილი საკვები, თავი სუფთა მიტკალით მაგრა მოუკარით და ჩაუდგით ოჯახს გადმოპირქვავებული ჩარჩოების ზედა პირზე, თავსაკრავი—მიტკალი წინდაწინვე უნდა დაასველოთ. მარტში კი, კარგი დარის დროს, საკვების მიცემა ჯამითაც შეიძლება.

ფუტკარი რომ სითხეში არ დაიღუპოს, საჭიროა თივა ან სხვა რაიმე ღეროჩაყოთ შიგ.

სითხე ერთბაშად უხვად უნდა მიეცეს ოჯახს (3—6 ჭიქა).

მარტის თვეში სითხე შეიძლება მისცეთ უფრო თხელი—ორი წილი შაქარი და ორი წილი წყალი.

საკვები მიეცით ოჯახებს ხშირად ღამით და თუ დილამდის ფუტკარი ჭურჭელს არ დასცლის, უნდა დღისით სკიდან წამოღებულ იქნას ეს ჭურჭელი, წინააღმდეგ შემთხვევაში საფუტკრეში დაიწყება ოჯახის შორის ქურდობა, რაც ძალიან დააზიანებს საფუტკრეს.

როგორც ვსთქვით, თებერვლიდან ოჯახებში იწყება კვერცხის დება, ე. ი. ფუტკრის გამრავლება. ყოველშა მეფუტკრემ უნდა იცოდეს, რომ **მხოლოდ საღი, ღონიერი და კარგად მოვლილი ოჯახი მოუტანს კარგ შემოსავალს.**

ოჯახების გაძლიერება იწყება ადრე გაზაფხულიდან და თუ აქ დროს სათანადო ყურადღება არ იქნება მიქცეული და შესრულებული საჭირო მუშაობა, შემდეგში საქმე ვერ გამოსწორდება.

ადრე გაზაფხულზე დიდი მნიშვნელობა აქვს ოჯახების გათბობას.

როცა ოჯახი თბილად შენახულია, დედა და მუშა ფუტკარს შეუძლია მეტად გამრავლება, რასაც ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს; რადგანაც მხოლოდ **ადრე გაძლიერებული ოჯახი მეტს შემოსავალს მოუტანს თავის პატრონს.**

ამისათვის უსათუოდ საჭიროა, ყოველი ოჯახი ზევიდან ბალიშით იყოს დაფარული. ბალიშისათვის შეიძლება მოიხმაროთ ჩვეულებრივი ტომარა, რომელშიაც ჩასდებთ სუფთა მშრალ თივას, ბურბუშელას ან სხვა ამგვარ მასალას. ბალიში უნდა იყოს ორ ვერშოკამდე სისქის და სკის ზედაპირის ზომის.

პ. ლოლაძე.



ლუფა და მისი მოყვანა

ლუფა ჩვენშიაც კარგად ხეირობს

ლუფა თბილი და ცხელი ქვეყნის მცენარეა. საბჭოთა კავშირის ვრცელ მიწა-წყალზე მისი მოყვანა საქართველოშიაც შესაძლებელი გახდა, სახელდობრ მის დასავლეთ ნაწილში.

ლუფა ერთწლოვანი მცენარეა და გოგროვან ჯიშს ეკუთვნის. იზრდება, როგორც გოგრა და საჭიროებს სარების შედგმას. იზრდება 5 და მეტ მეტრზე გრძელი. გოგრისაგან იმით ირჩევა, რომ ნაყოფის მთელი შინაგანი სირბილე ხისებურ მაგარ ბადისებურ ქსოვილისაგან შესდგება. აი ამ ბადისებური ქსოვილით არის ის სასარგებლო, რომელიც ბაზარზე იყიდება „იაპონურ მაჩალი"-ს სახელწოდებით.

რაში იყენებენ ლუფას

ნორჩი ლუფა, ვიდრე გახვედებოდეს, იხმარება საჭმელად, როგორც ბოსტნეული, რომელსაც მომზადება უნდა „კაბაჩკი"-სავით. საჭმელად ხმარობენ იმ ჩვილ ნაყოფს, რომელსაც მცენარის გასხვლის და სარზე გაყვანის დროს ჩამოაცლიან. ზოგი პირდაპირ ამ მიზნით აშენებს ბოსტანში და ასზე მეტ ცალ კიტრს იძლევა.

ლუფის დასრულებული ნაწარმოები—ლრუბელი უმთავრესად ტანის დასაბანად იხმარება. სისუფთავის დაცვის მხრივ ის დიდ სამსახურს უწევს ადამიანს. მის სამშობლოში მას ხმარობენ როგორც ფილტრს (საწურავს) ზოგიერთ სითხეებისათვის. უფრო კი იყენებენ საზაფხულო ქუდების, კალათების გასაკეთებლად, სადოსტაქარო ბანდაჟებად (სახვევად), ფეხსაცმელების ლანჩებად, ფეხების მშრალად და თბილად შესანახად, ცხენის საოფლეებად და სხვა. დიდ გამოყენებაშია ლუფა გერმანიაში,



ლუფის პლანტაცია.

ლუფის ნაყოფი და ფოთოლი

სადაც არსებობს განსაკუთრებული ქარხანა, რომელიც ლუფისაგან მრავალგვარ საგნებს ამზადებს.

ლუფის ნაყოფს და თესლს დიდი გამოყენება აქვს მედიცინაში (მკურნალობაში) და დიდი მოთხოვნილება აქვს ევროპაში.

საპლანტაციო ადგილის ამორჩევა

ლუფისათვის საუკეთესო ადგილად სამხრეთის ან სამხრეთ-დასავლეთისაკენ დაქანებული ფერდობები ითვლება, ან და დაბლობები, რომლებსაც მზე პირდაპირ დაჰყურებს. ძლიერ დაქანებულ ფერდობსაც უნდა ეერიდოთ.

ლუფის პლანტაციას დიდ ზიანს

აყენებს ქარები. ამიტომ სჯობია ამოირჩიოთ ქარისაგან დაცული ადგილი. თუ ესეთი ადგილი არა გაქვთ, მაშინ სარები და გარდი-გარდმო გაკრული ხარიხები კარგად უნდა იყვნენ გამართული. ყოველ შემთხვევაში თვით ლუფის ყლორტები ძლიერ არ უნდა მიამაგროთ სარზე, რომ მცენარეში საზრდოს მოძრაობას ხელი არ შეუშალოთ.

ნიადაგის დამუშავება

ლუფის დასათესად ნიადაგის დამუშავება საჭიროა შემოდგომიდანვე. იქ, სადაც გუთნით შეიძლება მუშაობა, ნიადაგი უნდა მოიხნას 25—30 სანტიმეტრის სიღრმეზე. მარტში უნდა აძოლოთ 30 სანტიმ. სიღრმეზე და 40—50 სანტიმეტრის სიგანის ორმოები რიგზე, ერთი მეტრის დაშორებით ერთი-ერთმანეთზე, რიგს და რიგს შუა საკმარია მეტრ-ნახევარი.

ნიადაგის განოყიერება

ლუფა საერთოდ დიდ ფესვებს იკეთებს და დიდ საზრდოს თხოულობს, ლუფას ფხვიერი და ძალიან ნოყიერი მიწა უყვარს, მაგრამ რადგან ჩვენში ასეთი ძიწები და ბევრი სასუქიც იშვიათია, ამიტომ შემოღებულია ლუფის ორმოებში გაშეხება, რომ სასუქი რაც შეიძლება ნაკლები წაგვივიდეს და მცენარეც დავაკმაყოფილოთ. ამ შემთხვევაში თითო ორმოზე 4 კილოგრამამდე (10 გირვანქა) ნაკელი სრულებით საკმარისია, ძველი დამპალი ნაკელი უკეთესია. ლუფა ძლიერ საჭიროებს კირს. კირი უნდა მივცეთ დამწვარი, თითო ორმოზე 200 გრამი (ნახევარ-გირვანქა) საკმარისია.

თესლის დამზადება

ლუფის თესლი მოთავსებულია ნაყოფის მაგარ ბადისებურ ქსოვილში. თესლი დამწიფებისას შავია, ხანდახან თეთრიც. ერთი საშუალო ზომის ნაყოფი იძლევა 30 გრამამდე თესლს. გემოთი იმდენად მწარეა, რომ თავიც კი არ ეტანება. სათესლეთ სჯობია ადრე დამწიფებული, მსხვილი და გრძელი ნაყოფიდან მიღებული მარცვალი. 3—4 წლის მარცვალი უფრო საიმედოა თესლად, ვიდრე ახალი. თესლის ძიღებისათვის, ნაყოფს ჯერ კანი უნდა გააძროთ, ბადისებური ქსოვილი გარეცხოთ (ივ წყალში, შემოჰკრათ მაგრად რომელიმე საგანს და თესლიც დასცვივა. თესლი უნდა გარეცხოთ ორჯერ წყალში, გააშროთ ჩრდილში, ჩაყაროთ ტომარაში და შეინახოთ ცივ და მშრალ ჰაერიან შენობაში.

თესვა

ლუფა უნდა დაითესოს რაც შეიძლება ადრე, რომ მოასწროს დროზე შემოსვლა. შემოსასვლელად მას სჭირდება 6—7 თვე. გვიან დათესვა შეიძლება მხოლოდ შავი ზღვის სანაპირო ადგილებში.

დასათესად საჭიროა წინასწარ მომზადებული ორმოები. ითესება ორმოში სამ-სამი მარცვალი 4 სანტიმეტრის დაშორებით ერთმანეთისაგან და ორ-სამ სანტიმეტრის სიღრმეზე. 5—10 დღეზე თესლი ამოდის. შემოღებულია დამბალი თესლის თესვა, მაგრამ გამოჩნდება თუ არა პირველი ფესვურა, მაშინათვე უნდა დაითესოს. ამ დროს დიდი სიფრთხილეა საჭირო, რომ ფესვურა არ დააზიანოთ.

ერთ ჰექტარის დასათესად საჭიროა ორ-კილო-ნახევარი თესლი, თუ პლანტაცია ისეა დაგეგმილი, როგორც ზევით მოვიხსენიეთ. ჩვენ ზოგიერთ გრილ ადგილებში, სჯობია ნერგის გამოყვანა სათბურებში. ეს ნაკლებ თესლს მოითხოვს, ვიდრე პირდაპირ ადგილზე დათესვა, ნერგის გადარგვა პირველი ფოთლის გამოსვლის შემდეგ უნდა, თუმცა დიდი ნერგის გადარგვაც შესაძლებელია. გადარგვისას მორწყვა აუცილებელია. გადასარგავად საუკეთესო დრო საღამოა.

აგრ. გ. ხუციშვილი.

ᲡᲝᲘᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲐ

სოია—პარკოვანი ერთწლოვანი მცენარეა, მისი სამშობლო ჩინეთი და იაპონიაა, ამიტომ მას იაპონურ მუხუდოს და ჩინურ ლობიოსაც ეძახიან.

სოია ჩვენებურ კუტ-ლობიოს (უსარო ლობიო), მეტადრე ძაძა-ლობიოს (წილობიოს) და ხანჭოლს წააგავს; სიმაღლით ერთ არშინამდე იზრდება. პარკი ბუსუსებიანი აქვს, რომელშიც 2—3, ხან 4 მარცვალია მოთავსებული; ფესვს უშვებს ღრმად 40—60 სანტიმეტრზე (10—15 ვერშოკზე), მისი ძირფესვები სავსეა ძიძიბ-კოჟიჟებით, ამის გამო მდიდარია აზოტით, რომელსაც მცენარე ჰაერიდან ითვისებს.

სოია ერთად-ერთი მცენარეა, რომელიც თავისი შემადგენლობით ხორცს უახლოვდება.

საინტერესოა გავეცნოთ სოიას და სხვა ზოგიერთ საკვებ მცენარების შეჯადგენლობას:

	ცილა	ცხიმი	სახამებელი	ცელულოზა
სოიას მარცვალში	34,5%	18,0%	28,5%	4,5%
ლობიოს „	27,0%	2,6%	60,0%	2,0%
მუხუდოს „	23,6%	2,1%	58,7%	3,5%
ჭვავის „	9,0%	2,3%	64,9%	3,5%
ხორბლის „	10,0%	1,4%	64,3%	—

თავისი ნოყიერების გამო, სოიას „ღარიბთა ხორცს“ უძახიან, იაპონიაში და ჩინეთში ის რძის და ყველის მაგიერობას ასრულებს და საერთოდ სოია შორეულ აღმოსავლეთის მეურნეობის საფუძველია, ვინაიდან ის ძალიან ნოყიერია, მოსავალი დიდი იცის და ჰავის და ნიადაგის მხრივ დიდი მოთხოვნილებისა არ არის.

იაპონიაში და ჩინეთში სოიას ხმარობენ საჭმელად ისე, როგორც ჩვენში ლობიოს, მუხუდოს, ცერცვს და სხვა ამგვარებს და გარდა ამისა მისგან იქ სხვადასხვა ნაწარმოებსაც ამზადებენ, რომელთა შორის უფრო ცნობილია:

1. იაპონური ცერცვეულის ნაშარაბი (სოუსი), ცნობილი ცხარე საწებელი, რო ელიც იყიდება ყველა გასტრონომიულ მაღაზიაში „სოიას“ სახელით.

2. „მიზო“—თეთრი ანუ მიხაკის ფერი საწებელი.

3. „ტოფუ“ ანუ ცერცვეულის ყველი და

4. სხვადასხვა ნამცხვარი—ნარევი კარტოფილის, პურის, ჭვავის ან სი-



ს ო ი ა.

მინდის ფქვილთან; ამ ნარევებიდან გამომ ხვარი პური გამოდის უფრო გემრიელი, ვიდრე ჭვავის ან სიმინდის მშადი და არც ადრე ხმება.

სოიას მარცვლიდან ფქვილის და შემდეგ პურის და სხვა ნამცხვრების დამზადების ბევრი ცდების შემდეგ გაირკვა:

1. სოიას მარცვალი, სანამ დაიფქვოდეს, კარგად უნდა გახმეს.

2. დაფქვის დროს სოიის მარცვლები ბევრი ცხიმოვანი ნივთიერების გამო წისქვილის ქვებს ეკვრება, ავსებს მის ნაკოდებს (ჩაღრმავებულ ადგილებს), და დაფქვა შეუძლებელი ხდება, ვიდრე ქვებს არ გარეცხავენ და არ გაწმენდენ, ამისთვის მეწისქვილეები სოიას საფქვავს ხალისით არ ეკიდებიან.

3. ვინაიდან სოიას ფქვილში ბევრი ზეთია, ფქვილი დიდხანს არ ინახება, მალე ძაღდება (აწარდება) და ამასთან ტომრის გვერდებიდან ზეთი ჟონავს.

4. წინდა სოიას ფქვილიდან კარგი გენოს პური არ გამოდის, მაგრამ ($^1/_5$—$^1/_3$ ნაწილი სოიას ფქვილი); პურის, ჭვავის, კარტოფილის ან სიმინდის ფქვილთან შერეული გემრიელი პური, კვერი და მჭადი გამოდის. ასეთი ნაცხობი კარგად ინახება და დიდხანს არ ხმება. სოიას ფქვილი ერთ მესამედს არ უნდა აღემატებოდეს.

5. თავისი სინოყიერით სოიას ფქვილის ნარევის ნამცხვრები უფრო ძაღლა დგანან, ვინემ პური, მჭადზე რომ არაფერი ვთქვათ და შეუძლია დადი სამსახური გაუწიოს კაცს ლაშქრობა—მგზავრობაში, ამასთან პატარა ადგილსაც იჭერს, ვინემ ხორბლის და ჭვავის პური ან მათი პაქსიმატი (სუხარი).

სოიას ერთი ნაკლულევანება აქვს, როგორც საკვებ ნივთიერებას, რომ ის ძნელად იხარშება, დიდ ცეცხლზედაც, ამის გამო დასავლეთ საქართველოში მას მეტ სახელად „ქვალობიო“-ს უძახიან. ამ ნაკლის ასაცილებლად სოიას ხარშავენ მარილიან წყალში, ალბობენ ერთი დღის განმავლობაში რბილ წყალში, ან ჩვეულებრივ ცოტა სოდა გარეულ წყალში.

ნაწარმოებს შორის, რომელსაც სოიოდან ღებულობენ, უნდა მოვიხსენიოთ კიდევ ზეთი, რომელიც სოიას მარცვლებისაგან იხდება და ყავა, როგორც წინდათ სახმარად, ისე ნამდვილ ყავის მისაძატად-შესარევათ.

სოიას ყავა უფრო ნოყიერია არა თუ ქერის, ვარდკაჭუის (კიკორის) და ლელვის, არამედ ნამდვილ ყავაზედაც ნამდვილი ყავა ერთობ ღარიბია ცილოვანი ნივთიერებით; აზოტის უმეტესი ნაწილი ყავაში არის ალკალოიდის სახით (კოფეინი) და თრიმლოვანი (дубильное) სიმჟავით, ამასთან ზეთი მარტო 5%-ით და არა უმეტეს 1—1,5% ცილოვანი ნივთიერება, ლეგუმინ[illegible]ბის სახით. სოიოს ყავას უმატებენ, სურვილისამებრ, $^1/_3$—$^1/_5$ ნამდვილ დაფქვილ ყავას მარტო მუქი ფერის მისაცემათ.

სოიოს ყავათ გადასამუშავებლად 90 წლის დასაწყისში ქალ. ზესტაფონში ამხანაგობა „არგო“-ს ჰქონდა ქარხანა და ბევრ ყავას ამზადებდა, ეხლა კი სოიას გადასამუშავებელი ქარხანა საქართველოში არ არის.

სოიას გამოყენება შეიძლება საქონლის საკვებათ ოთხნაირად: 1) ბალახათ, როგორც მწვანე საკვები, 2) მარცვლად, 3) ნაქაჭათ და 4) თივათ ან ჩალად.

სოიას მარცვლით კვებავენ საქონელს, მის დაროშვილ ბარცვლით და ფქვილით ასუქებენ ღორებს და ფრინველებს.

სოიას თივა თავისი ნოყიერებით საუკეთესო საკვებია საქონლისათვის, გახაკუთრებით ძვირფასია იქ, საცა სიმინდის მეურნეობაა, მისდევენ სიმინდის თესვას და საცა ერთად ერთ საკვებ მასალად სიმინდის ჩალაა.

სოია, როგორც აზოტის შემგროვებელი მცენარე, რომლის მარცვალში ბევრი რაოდენობის ცილოვანი ნივთიერებაა და შემდეგ როგორც გძელი ძირ-ფესვების მქონე, რომელნიც ქვენიადაგში შორს მიდიან, წარმოადგენს საუკეთესო სასუქს მიწის გასაპოხიერებლად. ის იხმარება მწვანე სასუქად, როგორც ამერიკაში წილობიო (დოლიხის) ნედლად მიწაში ჩახვნით და კიდევ როგორც აზოტიური

სასუქი—მთელი მცენარე დამწიფებული მარცვლებით.

სოიას მარცვალში 17—18% ცხიმია, ჩვეულებრივი გზით დაახლოვებით 11—12% ზეთი იხდება, ჰიდრავლიული (წყლის) საქაჩით კი 14—15%, 16 კილო (ერთი ფუთი) მარცვლიდან გამოდის ერთი კილო (2½) გირვანქა ზეთი. სოიას ზეთი გარდა საღებავისა ყველაფრისათვის ვარგა: სანათად, წასასხელად, საპნისთვის და სხვა; ის საჭმელისათვისაც კარგია, ვინაიდან დიდხანს ინახება და ადრე არ ხდება.

30 წელზე მეტია, რაც სოია ჩვენში შემოვიდა და უფრო გავრცელებულია დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით შორაპნის, ქუთაისის, ოზურგეთის და სენაკის მაზრებში.

სოიას თესვა დასავლეთ საქართველოში გამოწვეულია მიწის სიმცირით, მისი დაქუცმაცებით, სათიბების და საძოვრების ნაკლებობით.

სოია ნიადაგის მხრივ არაა რის დიდი მოთხოვნილების, ყველანაირ ნიადაგს ეგუება, თუ ქვეხიადაგი წყლის გამტარი აქვს, გვალვას კარგად იტანს.

სოიას მოვლა ისე უნდა, როგორც ლობიოს და სიმინდს.

თუ სოიას მარცვლისთვის თესავთ, ერთ ჰექტარს დასჭირდება 64 კილო (4 ფუთი) თესლი, თივისთვის ან მწვანე სასუქისთვის 128 კილო (8 ფუთი). მარცვლისთვის სოია უნდა დაითესოს მწკრივათ, მცენარე მცენარისაგან 16—24 სანტიმეტრის (4—6 ვერშოკის) დაშორებით; პწკარი პწკარისგან კი 72 სანტიმეტრით (ერთი არშინით). თივისთვის დათესვა უფრო ხშირადაა საჭირო.

ერთი ჰექტარი იძლევა 40—95 ფუთ მარცვალს და 160—320 ფუთ თივას.

სოია მოთიბვის შემდეგ სამ დღეზე მეტ ხანს არ უნდა დარჩეს მინდორში, თორემ ფურცელი დასცვივა.

სოიას თივა ძალიან ნოყიერია, საქონელი მადით სჭამს. ერთი კვირის სამყოფი უნდა დაიჭრას, მარილწყალი მოესხუროს და საქონელს ისე უნდა მიეცეს.

სოიას შემდეგ სიმინდის და სხვა ნათესების მოსავალი 20%-ით მატულობს. სოია უფრო ხშირად ითესება სიმინდთან ერთად, ან ყანის კიდეებში.

მწვანე სასუქისათვის სოიას აყვავილებისას ჩახნავენ, ამით ნიადაგი მდიდრდება ნოშომპალით (ჰუმუსი) და მის ფიზიკურ (ბუნებრივ) თვისებებს აუმჯობესებს.

სოიას ჯიშებში ჩვენში გავრცელებულია ადგილობრივი თეთრა, შავი, წვრილი ყვითელი იაპონური და მიხაკის ფერი.

სოიას თესლის შოკნა შეიძლება ყველგან დასავლეთ საქართველოში და აჯამეთის საცდელ სადგურზე, 16 კილო (1 ფუთი) ღირს 3 მანეთამდე.

ქუთაისის საცდელ მინდვრის ცნობით სოიას აღმოცენებიდან დამწიფებამდე სჭირდება:

ადგილობრივი სოიას	.	143 დღე
შავს	„	. 111 „
წვრილ ყვითელ იაპონურს		91 „
მიხაკის ფერს	. .	81 „

აგრ. ერ. ნაკაშიძე.




რატომ მოჰქავთ ასურელ გლეხებს ადრეული კარტოფილი

მაისის პირველ რიცხვებიდან თბილისის ბაზარზე ჩნდება ახალი კარტოფილი.

პირველ ხანებში ნაადრევი კარტოფილი შემოდის მხოლოდ სოფელ ასურეთიდან და გაუბანიდან. ამ სოფლის გლეხობა დიდი ხანია დახელოვნდენ ნაადრევი კარტოფილის მოყვანაში და ზოგს 200—300 ფუთამდე მოჰყავს.

კარგი იქნება, თუ ყველა ქალაქის ბაზარზე მახლობლად მდებარე სოფ-



დასათესად გამზადებული გალეჯული კართოფილი.

ლები ადრეულ კარტოფილის მოყვანის წესს შემოიღებდეს, მით უმეტესათ, რომ ამას დიდი ხერხი და ცოდნა არ სჭირია.

ახი რა არის ამისათვის საჭირო: პირველყოვლისა ადრეულ კარტოფილის სათესლის შეძენა, რადგან კარტოფილის ყველა ჯიში არ გამოდგება ადრეულ კარტოფილის მოსაყვანად.

ადრე მოსაყვანი კარტოფილის ჯიში ბევრნაირია, არის ერთი, ევრეთ წოდებული, შვიდკვირია, არის ამერიკული ჯიში სახელად „ერლი (ადრეული) ვარდისფერი“ და სხვა.

ასურეთში კი დიდი ხანია შემოტანილია ორი ამერიკული ნაადრევი ჯიშის კარტოფილი—თეთრი და წითელი, რომლებიც უკვე შეგუებულია ჩვენი ქვეყნის ჰავასთანაც და ხიადაგთანაც.

თეთრი უფრო ადრე შემოდის, ვინემ წითელი, როგორც ერთის ისე მეორის შოვნა შეიძლება ან უშუალოდ იქაურ გლეხებისაგან, ან ვისაც წასვლა არ შეუძლიან და ეშორება, შეიძლება დაიკვეთონ ასურეთის კოოპერატივიდან „სოფლის კავშირის“ შემწეობით, ან მიმართოს ადგილობრივ აგრონომს დახმარებისათვის.

კარტოფილის ადრე გამოსაყვანად თადარიგს ზამთარშივე შეუდგებიან, დაახლოვებით თებერვლის ნახევრიდან. სათესლე კარტოფილს არჩევენ სრულიად საღს და უზადოს, აწყობენ კალათებში და შეიტანენ თბილ ოთახში (სურ. 1).

თუ განცალკევებული თბილი ბინა არა აქვთ, მაშინ საცხოვრებელ ოთახში მოათავსებენ. აქ კარტოფილი გაიკეთებს ღეჯეჯს (ღოღოს) დაახლოვებით ნახევარ მარტამდე. ამ გაღეჯეჯებულ კარტოფილს გაიტანენ მერმე კარგათ დაბარულ-გაფხვიერებულ მიწაზე და ფრთხილად დარგავენ, ისე რომ ღეჯეჯი არ დააწყდეს და მერმე სრულიად დაჰფარავენ მიწით.

საკარტოფილე ადგილი ადრე შემოდგომითვეა დაბარული ბოსტანში ან ვენახში, ვაზებს შუა. ვაზი ასურეთის ვენახებში შორი-შორს, ერთ მეტრ-ნახევარზეა დარგული. თუ ვაზი ხშირია, მაშინ ადრეულ კარტოფილის დარგვაზე ფიქრი, რასაკვირველია, ზედმეტია.

თოხით გაკეთებულ ორმოში ჩააწყობენ კარტოფილს, ბუდნა-ბუდნისაგან დაშორებულია სამ ჩარექზე. თუ გაღეჯეჯებული კარტოფილი დიდია, გასჭრიან მას იმ გვარათ, რომ ოთხი ღეჯეჯი მაინც შერჩეს, მაშინ თავიდან ბოლომდე გასჭრიან და ისე დარგავენ.

საკარტოფილე ადგილში აუცილებლივ შეაქვთ დამწვარი პატივი ან ბარვის ან დარგვის დროს. კარტოფილს სთოხნიან სამჯერ, პირველათ მიწის შემოყრელათ და მეორეთ და მესამედ კი მიწის შემოყრით.

გ. ბიბილაშვილი.

გავუფრთხილდეთ ამერიკულ ვაზს

რაც დრო გადის, მოთხოვნილება ამერიკულ ვაზზე დღითი-დღე მატულობს. სახელმწიფო, კოოპერატიული თუ კერძო პირთა სანერგეები მევენახეთა სულ მცირე მოთხოვნილებასაც ძლივს აკმაყოფილებენ.

შექმნილი მდგომარეობის შესანელებლად საჭიროა ამერიკული ვაზის სადედეების გაფართოება.

ჩვენ ვურჩევთ მევენახეებს მიმართონ შემდეგ ღონისძიებას: ის უდაოა, რომ ამერიკულ ვაზზე შეუძლია შეეხორცოს სახამყეხე ვაზს, თუ ამერიკული ვაზის სიმსხო არა ნაკლებ ხუთი მილიმეტრისაა. მართალია უჯრო წვრილ ამერიკულ ვაზზე დაყნა შესაძლებელია, მაგრამ უიმედოა.

მაშ როგორ მოვეჭიდოთ წვრილ ამერიკულ ვაზის ლერწს, დავსწვათ ის თუ გამოვიყენოთ?

ყოველი წვრილი ამერიკული ვაზის ლერწის გამოყენება შესაძლებელია, გარდა მისი ნამხრეებისა, როგორც აუცილებლად უნდა დაიწვას.

დაამზადებს თუ არა მევენახე დასამყნელად ვარგის ამერიკულ ვაზს, ის დაუყონებლივ უნდა შეუდგეს სხვა წვრილი ზომის ლერწის მოგროვებას. გასამრებელ ვაზს უნდა მიეკეს სიგრძე არა ნაკლები 27—32 სანტიმეტრის (7—8 ვერშოკისა). (ამერიკული ვაზის სიგრძე დამოკიდებულია იმ ნიადაგზე, სადაც ის უნდა დაირგას. დაქანებულ და მშრალ მიწაზე საჭიროა გრძელი საძირე, ჭალა და ნესტიან ნიადაგზე კი შედარებით უფრო მოკლე). ამერიკულ ვაზს უნდა ააცალონ კვირტები წინასწარ. ამ შემთხვევაში დიდი სიფრთხილე და დაკვირვებაა საჭირო, რომ კვირტების ამჭრელი დანა მეტად მკრელი იყოს, ლერწს უნდა დავუტოვოთ მხოლოდ უკანასკნელი ერთი ან ორი კვირტი წვერის მხარეს.

ამ სახით დამზადებულ ვაზს სანერგეში დასარგავად ამზადებენ, რაც მარტის ან აპრილის თვეებში უნდა მოხდეს. ნიადაგის დამუშავება ამ მიზნისათვის ისეთივეა, რაც ნამყენი ვაზის სანერგისათვის, სანერგეში დარგულ ვაზს თავზე აყრიან 8—12 სანტიმეტრზე (2—3 ვერშოკ) მიწას.

მაისის პირველ რიცხვებში სანერგეში დარგული ვაზი ამოდის. თუ ვაზი კარგად შენახული იყო, ყოველ ას ძირზე 95 ცალი აუცილებლად იხარებს.

ივნისის ბოლო რიცხვებში აშორებენ თავზე დაყრილ მიწას. ზაფხულის განმავლობაში ის მოითხოვს ხშირ გათხრას, მძლავრი ძირებისაგან თავის წაჩქმეტას. წამლობა მას არ ესაჭიროება.

ამ სახით დამუშავებული ვაზიდგან შემოდგომის ბოლო რიცხვებში ან და ძეორე წლის გაზაფხულის დასაწყისში თქვენ შეგიძლიათ ძიძღოთ უკვე დაფესვიანებული ამერიკული ვაზი, მძლავრი და ხშირი ფესვებით, ზომიერი სისქის და დასამყნელად სრულიად გამზადებული ვაზი.

არა ერთხელ გვიცდია ეს და მისი შედეგი მუდამ დამაკმაყოფილებელი იყო. დაფესვიანებულ ვაზებედ ამყნობთ და რგავთ მუდმივ ადგილას.

უპირატესობა ამ სახით დამყნილი ვაზისა უძირო ვაზთან შედარებით კიდევ ისაა, რომ ის გაცილებით უმჯობესი ხარისხისაა და ცხადია, რომ უფრო ძვირად ფასობს.

ყოველი მევენახე ერთი ქვევა ამერიკულ ვაზიდან სწვავს ან და ჰყრის გზა-შარაზედ 30—40 ათას ცალი ვაზის ღერს, რომელიც ამ სახით რომ დამუშავდეს დიდ ღირებულებას წარმოადგენდა.

ვიქ. შანიძე



ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲪᲔᲮᲜᲘᲙᲐ

რადიო და მისი მნიშვნელობა

წინა წერილში (ჟურ. „ახალ სოფელი“ № 1) ჩვენ მოკლეთ გავეცანით რადიოს მნიშვნელობას და მის გავრცელებას. ეხლა გავარკვიოთ, რა არის რადიო და როგორ ხდება მისი საშუალებით ცნობების მიღება და გადაცემა.


სანამ ამის ახსნას შეუდგებოდეთ, საჭიროა ჯერ მოკლეთ გავეცნოთ ელექტრონსაც, რადგან მიმღები და გადამცემი რადიო-სადგურები, ხოლოდ ელექტრონის საშუალებით მუშაობენ.

ბუნების ყველა სხეულში ყოველთვის არის ცოტად თუ ბევრად ელექტრონი. ელექტრონები სხეულებში გასაოცარი სისწრაფით მოძრაობენ. ელექტრონის მამოძრავებელ ძალათ გამოყენება შეიძლება.

ელექტრონის ნაკადის მიღება უმთავრესათ შემდეგი საშუალებით ხდება: ეგრედ წოდებულ ელემენტებიან ბატარეით, რომელსაც ფოსტა-ტელეგრაფის აპარატების ასამუშავებლათ ხმარობენ და აგრეთვე დინამო-მანქანით ანუ გენერატორით.

ყველას უნახავს ჩვეულებრივი ფოსტის ტელეფონი. ეს ტელეფონი შეერთებულია ელემენტებთან, (მოწყობილობაა) საიდანაც ელექტრო-ნაკადი გამოდის.

როდესაც ჩვენ ტელეფონით ვლაპარაკობთ, ამით ჩვენი ენით და პირით მოძრაობაში მოგვყავს ჰაერი, ჰაერი კი აწვება ტელეფონში მოთავსებულ ფირფიტას, რომელიც რხევას განიცდის. ფირფიტის ასეთი რხევა ტელეფონში თითო წამში ათასობით მეორდება. ჰაერის ყოველ დაწოლაზე ერთმანეთს დაკოლებული ორი მავთულის წვერი ერთდებიან და ფირფიტის საშუალებით მისცემენ ელექტრონის ნაკადს მოძრაობის საშუალებას. ამნაირათ გამოდის გარეთ ელექტრონის ნაკადი და ბოძებზე გაბმულ მავთულს მიჰყვება. დანიშნულ ადგილას, სადაც ნაკადი უნდა მივიდეს, ტელეფონს იქაც იგივე მო-



რადიო-სადგურების მუშაობა

წყობილობა აქვს და ყოველი ნაკადი იქაც ტელეფონის ფირფიტის მიზიდვას და უკუგდებას ანუ რხევას იწვევს, რაც თავის მხრივ წარმოშობს ჰაერში ბგერებს, რომლებიც მსმენელს ესმის, როგორც გარკვეული სიტყვები.

რადიოშიაც ამის მსგავსი მოვლენა ხდება. ტელეფონის ასამუშავებლათ საჭიროა მავთული ორი ადამიანის შორის ლაპარაკის გადაცემისათვის, რადიოში კი მავთული არ არის საჭირო, რისთვისაც მას **უმავთულო ტელეფონს** ეძახიან.

რადიოთი სიტყვების გადაცემისათვის ადამიანი ლაპარაკობს ხმის დამჭერ მოწყობილობასთან, რომელსაც **მიკროფონი** ჰქვიან. მიკროფონში ისე, როგორც ტელეფონში, ჰაერის რხევისაგან მოძრაობაში მოდის ფირფიტა, ეს იწვევს მავთულებში ელექტრო-ნაკადის გაშვებას, მაგრამ ეს მავთულები შორს არ მიდიან, იქვე უერთდებიან სახლის თავზე ან ბოძებს შუა გაბმულ მავთულს და იქ სწყდება. ამის იქით მიმღებ სადგურამდე არავითარი მავთულის გაბმულობა არ არის. მიმღებ სადგურში ისევ მაღლობზე გაბმულია მავთული, რომელიც ძირს ჩამოდის და მიმღებ აპარატს უერთდება. აქ ამ აპარატში საიდგანაც, გადამცემი რადიო-სადგურის ამუშავების შემდეგ ჩნდება ელექტრო-ნაკადი და მოძრაობაში მოჰყავს მიმღებ აპარატის ტელეფონის ფირფიტა, რომელიც იმასვე წარმოსთქვამს, რასაც გადამცემი რადიო-სადგური.

საიდან გაჩნდა აქ უმავთულოთ ეს ელექტრო-ნაკადი?

მეცნიერების აზრით დედა-მიწის, მზის, მთვარის და ვარსკვლავებს შორის სივრცე სრულიად **ცალიერი** არ არის, როგორც ჩვენ გვეჩვენება, არამედ იქ არის ისეთი გამჭვირვალე ნივთიერება, რომელიც ავსებს მთელ სამყაროს. ამ ნივთიერებას სახელად **ეთერი** უწოდეს. მეცნიერებამ დაამტკიცა, რომ ეს ეთერი არის შუქისა და რადიოს ტალღების გამავრცელებელი.

როდესაც გადამცემი რადიო-სადგური დაიწყებს მუშაობას, ის წარმოშობს ეთერში, ეგრედ წოდებულ ელექტრო-მაგნიტურ ტალღებს, რომელიც ყოველ მიმართულებით ვრცელდებიან, დაახლოებით 300 ათას კილომეტრის სისწრაფით წამში. წააწყდებიან თუ არა გზაზე ეს ტალღები მიმღებ რადიო-სადგურისათვის ძაღლობაზე გაბმულ მავთულს, იწვევენ მასში ელექტრონის ნაკადს, რომელიც აპარატში გავლისას თავის მხრივ იწვევს მის ამუშავებას. ამნაირათ გადამცემ რადიო-სადგურში მოლაპარაკე ადამიანის ხმა ესმის ათასს და ათიათასს რადიო მსმენელს, რომლებიც სხვადასხვა ადგილას იმყოფებიან.

აქვ. შანიძე.



ძველი სოფელი. ახალი სოფელი.

ს 984 ს
1928

ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲓᲔᲒᲘ ᲪᲝᲓᲜᲐ

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲠᲔᲪᲮᲝᲗ ᲜᲐᲕᲗᲘᲐᲜᲘ ᲮᲣᲠᲯᲔᲚᲘ

ნავთიან ჭურჭელში უნდა ჩაყაროთ დაუშთობელი კირი, ააცხოთ წყლით და დრო და დრო აუბანჭყაროთ. რამოდენიმე საათის განძავლობაში ჭურჭელს მოსცილდება ნავთის სუნი.

თუ ჭურჭელი შუშისაა, კირსა და წყალთან ერთად, ქვიშასაც ჩაყრით და ისე აუბანჭყარებთ.

ᲮᲘᲓᲐᲜ ᲪᲣᲓᲘ ᲡᲣᲜᲘᲡ ᲛᲝᲨᲝᲠᲔᲑᲐ

ჭაში ზოგჯერ ცუდი ჰაერი დგება და წყალსაც აბინძურებს.

ცუდი ჰაერის გასაწმენდათ საჭიროა მხოლოდ ადუღებული წყალი.

დიდ ქვაბში აადუღეთ წყალი და ადუღებული წყალი ჩაასხით ჭაში. ორთქლი ამოვა ზევით და ცუდ ჰაერს თან ამოიყოლებს.

ᲙᲘᲗᲮᲕᲐ-ᲞᲐᲡᲣᲮᲘ

ᲐᲒᲠᲝᲜᲝᲛᲘᲣᲚᲘ ᲓᲐᲠᲘᲒᲔᲑᲘ

კითხვა. მაქვს თხილის ნარგავი, მწკრივად დარგული. ბუჩქი-ბუჩქისაგან დაშორებულია ორი საჟენით. ბუჩქების შტოები ერთმანეთს სწვდება. მასწავლეთ, როგორ გავსხლა.

გლეხი აბაშელი

პასუხი. თხილი სხვა ხეხილივით გასხვლას არ საჭიროებს, ის ყოველ წლივ უნდა გაიწმინდოს, ესე იგი უნდა გამოიკრას ბუჩქში დაავადებული, მრუდე და ერთმანეთში გადახლართული შტოები, თუ შტოები სქლად არის უნდა შემეჩხრდეს (შეთხელდეს) და ზედ დაეტოვოს კ ან 5 შტო და თუ ბუჩქი ღონიერია მეტიც შეიძლება, ათამდეც, ამათში ერთი მესამედი ახალი შტო უნდა დარჩეს, შემდეგში ძველი შტოების შესაცვლელად.

ეტყობა თქვენი თხილის ნარგავი სქლად არის, ბუჩქები ერთმანეთს ჩრდილავენ და ამის გამო შეიძლება ცოტა მოისხას და ისიც მომეტებული მატლიანი. გირჩევთ ნარგავი ნახევრათ გაახალგაზდაოთ, მწკრივში თითო ბუჩქი ჩაგდებით აჩეხეთ; როცა გაახალგაზდებული ბუჩქი ნაყოფის ძლევას დაიწყებს, მერმე ძველები გადაჩეხეთ.

დაწვრილებით თხილის მოვლაზე დარიგებას მიიღებთ აგრონომი ერ. ნაკაშიძის წიგნაკიდან „თხილი, მისი გაშენება და მოვლა“, წიგნი ღირს 25 კ. იყიდება ყველგან, საცა კი „სახელგამის“ წიგნის მაღაზია არის.

აგრონომი **ერ. ნაკაშიძე**

კითხვა. მიწას ვაბრუნებ ვენახისათვის და შიგ ჰყვება ორიოდე ძირი ხუთი წლის ნამყენი. მინდა მათი სხვა ადგილზე გადატანა, როდის სჯობია.

ს. ქუმსიაშვილი.

პასუხი. გადარგვა გაზაფხულზე სჯობია. ამოიღეთ საჭაროთ ორმოები და დასტოვეთ ღიათ ხის დარგვამდე. მანამდე დაამზადეთ ორმოებისათვის ნოყიერი მიწა და მიიტანეთ ორმოებთან. ხეხილები ისე უნდა ამოიღოთ, რომ რაც შეიძლება ნაკლებ დაუზიანოთ წვრილი ფესვები, ამიტომ საჭიროა შორიდანვე მოუთხაროთ ძირი. ამოღების შემდეგ შეგიძლიათ მსხვილი ძირები დააჭრად, ტოტებსაც დაუმოკლებთ. ამოიღებთ თუ არა ხეს მაშინათვე გადარგით. ეცადეთ დარგათ ისე, როგორც იყო, არც ღრმად და არც ზედელეთ. დარგვის შემდეგ მორწყეთ.

აგრ. ნ. წიკლაური.

რედაქტორი აგრონომი **ნ. აღნიაშვილი.** პასს. რედაქტორი **გ. მუშიშვილი.**

მთავ. № 674. გამომცემლობა „**ახალი სოფელი**“ ტირაჟი 5.000

პოლიგრაფტრესტის მე-5-ე სტამბა, კამოს ქუჩა, № 68.